…ალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

შაბათი, 7 სექტემბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერის ფასი: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ფული მომწერლებმა ფული შემდეგი … უნდა გამოგზავნონ: Тифлис … აშ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ. Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 191 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 191

ღრმათ დამწუხრებულნი მშობლები ანნა და გიორგი, ცოლი სონა, შვილები: ნინა, შალვა და არჩილი. სიდედრი ლიზა და სიმამრი მიხეილი, სიმამრის შვილი იოსებ შარაძე მეუღლე თამროთი; ბიძაშვილები: სონა, ლოლა, დათიკო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროვოთ გარდაცვალებას

## ალექსანდრე გიორგის-ძე ჯაფარიძის.

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე მიცვალებულის ბინაზე ოლგინ ს… სახლი წილოსანის № 54 დაკრძალვა მოხდება შაბათს 7 ენკენისთვეს …და ნინოს სასაფლაოზე. მიცვალებულს გამოსვენებენ დილით ათ საათზე. წირვა და პანაშვიდი დაკრძალვის დღეს ვერის სასაფლაოს ეკლესიაში. (2—2)

…ართველოს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის ცენტრალური გამგეობა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ …შაბათს 5 სექტემბერს ქ. თფილისში ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის ყოფილი საოლქო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგი

## მიხეილ ხოსიას ძე შოშიტაიშვილი.

გამოსვენება მოხდება კვირას, დილის 10 საათზე, გონჩაროვის ქუჩა, № 50. დასაფლავება ამავე დღეს, წმ. ნინოს სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებული და ცრემლებ შეუშრობელი მამა ხოსო, დედა ელისაბედ, ძმები ვარლამ, გიორგი და პავლე შოშიტაიშვილები, დები შინავარდა და თებრონე, სიძეები: თომა ცქვიტინიძე და სერგო ხოხიაშვილი, …ლები: პელაგია, სონია და ლიდა თავიანთი შვილებით, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, პირველნი შვილის, მეორენი და მესამენი ძმის, მეოთხენი ცოლის ძმის და მეხუთენი მაზლის

## მიხაკო (მიშა) ხოსოს ძე შოშიტაიშვილის

უდროოთ გარდაცვალებას, რომელიც მოხდა ხან-მოკლე ავათმყოფობის შემდეგ 5 ენკენისთვეს ქ. თფილისში. გამოსვენება მოხდება კვირას 8 ენკენისთვეს (ახალი სტილით) დილის 10 საათზე. გონჩაროვის ქუჩა № 50, პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 5 საათზე. დასაფლავება ამავე დღეს წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2—1)

მწუხარებისაგან გულ დამწვარი სიმამრი ალექსი გაბრიელი ძე შანიძე, სიდედრი ტასია ქაიხოსრო ჯიბლაძის ასული შანიძისა, ცოლის ძმები: გიორგი და კოლია ალექსის ძენი შანიძეები და რძალი ოლღა სხვიტარიძის ასული შანიძისა ღრმათ დამწუხრებული აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ სექტემბრის 8-ს კვირას, 12 საათზე გადახდილ იქნება კუკიის წინდა ნინოს ეკლესიაში ქ. თფილისში ორმოცის წირვა და პანაშვიდი უდროოთ გარდაცვალებულის დაუვიწყარი სიძის

## ირაკლი (ილო) ათანასეს ძე დოლიძის

სულის მოსახსენებლათ. (2—1)

ღრმათ დამწუხრებულნი მეუღლე ეპრაქსი შანიძის ასული დოლიძისა, შვილები ასმათი და თინა, ძმა კოლია და დაი მელანია დოლიძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობ-მოკეთეებს, რომ 8 სექტემბერს (ახ. სტ.) კვირას, 12 ს, ქ. თფილისში კუკიის წმიდა ნინოს სასაფლაოზე გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოთ გარდაცვალებულის დაუვიწყარის

## ირაკლი (ილო) ათანასეს ძე დოლიძის

სულის მოსახსენებლათ. (2—1)

თფილისის რკ. გზის დეპოს აღმასრულებელი კომიტეტი ღრმათ დამწუხრებულნი აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს ძვირფას ამხ.

## სერაფიონ მინას ძე ჭელიძის

უდროოთ გარდაცვალებას, რომელიც მოხდა ამ წლის 5 სექტემბერს სახალხო გვარდიის № 41 ლაზარეთში. გამოსვენება მოხდება კვირას 8 სექ. 4 საათზედ. წაასვენებენ სოფ. ბაჯში.

მედისაგან ნალალატები ირაკლი იოსების ძე შოთაძე პატარა ვაჟი ოთარით აუწყებს ნათესავებს, ამხანაგებს და მეგობრებთ, რომ კვირას, 8 ამა სექტემბერს (ახალი სტილით), დილის 11 საათზე, ფოთის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაკარგულის, უსაყვარლესი და მუდამ დაუვიწყარი, მისი მეუღლის და დედის

## ალექსანდრა (საშა) სოლომონის ასულის შოთაძის

სულის მოსახსენებლად.

გულდათუთქულნი მშობლები ნატალია ლეონტის ასული და სოლომონ პორფირის ძე, და ეკატერინა და ძმა ალექსანდრე ოსიძეები პატარა ოთიკოთურთ ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ამხანაგთ და მეგობრებ, რომ კვირას, 8 ამა სექტემბერს (ახალი სტილით), დილის 11 საათზე, ფოთის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაკარგულის, მათი საყვარლის და მუდამ დაუვიწყარის შვილის, დის და დედის

## ალექსანდრა (საშა) ოსიძის ასულის შოთაძის

სულის მოსახსენებლად.

## ტფილისის სასულიერო სემინარიის მმართველობა

აცხადებს, რომ მისაღები და განმეორებითი გამოცდები აღნიშნულ სემინარიაში დაიწყება მიმდინარე წლის 20 სექტემბრიდან (ახალი სტილით), ხოლო სწავლა—1 ოქტომბრიდან. სემინარიის პირველს კლასში მიიღებიან გამოუცდელად (უეგზამენოდ):

1. სასულიერო და უმაღლეს პირველ-დაწყებითი სასწავლებლებში კურს-დამთავრებულნი.
2. საშუალო სასწავლებლების ოთხ კლას გათავებულნი.
3. მეხუთე და მეექვსე კლასში გამოუცდელად და ნამდვილ მოწაფეებად მიიღებიან საშუალო სასწავლებლებში კურსდამთავრებულნი, ხოლო თავისუფალ მსმენელად—ყველა ის პირნი, ვისაც აქვს სწავლის ცენზი არანაკლებ პროგიმნაზიულ (4) კლასებისა. ვაკანსიები ყველა კლასებში გარდა მეორისა.

მმართველობა.

## სახელმწიფო თეატრი

კვირას, 8 ენკენისთვეს 1918 წელს, დილის 11 საათზე, საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი რუსეთში გაბრიელ ხუნდაძე წაიკითხავს მოხსენებას რუსულათ

## დღევანდელ რუსეთის მდგომარეობაზე.

შინაარსი: 1. საბჭოს რუსეთის ტერიტორიალური ფარგლები ა) ჩეხო-სლოვაკების და მოკავშირეთა სამოქმედო ასპარეზი. ბ) ხალხის განწყობილება მათთან. 2. საბჭოთა მთავრობა ა) საბჭოთა მთავრობის წარმოშობა, ბ) მისი პოლიტიკა საერთო—სახელმწიფოებრივი და ეკონომიური თვალთახედვით. 3. სხვადასხვა საზოგადოებრივი ძალების განწყობილება მთავრობასთან. 4 საბჭოთა მთავრობის ნაციონალური პოლიტიკა. დასასრულში შეიძლება შეკითხვის მიცემა უკამათოთ.

ადგილების ფასი 1—5 მანეთამდე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში 11—1 საათამდე და 6—8 მდე. (3—2)

8 კლასიანი ქალ-ვაჟთა უფლებიანი გიმნაზია

## ე. ს. ზილანიშვილისა.

გამოცდები და მიღება ყველა განყოფილებებში და კლასებში იწყება 10 ენკენისთვიდან, სწავლა კი 20 ენკენისთვეში; მე-4 კლასში მიიღებიან აგრეთვე კურსდამთავრებული ქალები რკინის გზის სკოლებისა გამოუცდელათ. მხოლოდ ენებს ფრანგულს, გერმანულს და ლათინურს გაივლიან იქვე გიმნაზიაში ცალკე კურსებზე წლის განმავლობაში. მისამართი: ნაძალადევი, ლოტკინის ქუჩა, 30, 10—1 საათამდე. (3—2)

## თფილისის მთავრობის საშუალო კულტურ-ტეხნიკურ სასწავლებელში გამოცდები დაიწყება 10 ენკენისთვეს, სწავლა კი 20 ენკენისთვიდან. (3—2)

## რუსეთის მომავალი

რუსეთის მომავლი სქელი ბურუსით არის მოცულ.

იქ არსებული საზოგადოებრივი ძალები ისე აირ-დაირია, სამოქალაქო ომის მეოხებით პოლიტიკური პარტიები ისე დასუსტდენ, რომ შეუძლებელი ხდება ახლო მომავალში პოლიტიკურმა თუ სახელმწიფოებრივმა წყობილებამ მტკიცე და გარკვეული ფორმა მიიღოს და რომელიმე პოლიტიკური პარტია სრული ბატონ-პატრონი გამოვიდეს.

ომმა და რევოლიუციამ, ბალშევიკურმა მოძრაობამ და წარმოუდგენელმა ანარქიამ ეკონომიური და საზოგადოებრივი ურთიერთობა ისე შეარყია, რომ ძნელი წარმოსადგენია—რომელი მიმდინარეობა განმტკიცდება რუსეთში.

ერთი კი აშკარაა: აგრარულ ნიადაგზე აღმოცენებული რევოლიუცია, რომლის მამოძრავებელ ძალას უმთავრესად გლეხობა შეადგენს, ვერ დაამყარებს ვერც ბალშევიკურ სოციალიზმს და ვერც მონარქიულ წყობილებას.

რაც შეეხება დემოკრატიულ წყობილებას, უნდა ითქვას, ამისათვისაც ნიადაგი არ არის გაწმენდილი და ხანგრძლივი დრო და მუშაობაა საჭირო.

არ უნდა დაგვავიწყდეს მეორე და ამასთან უდიდესი გარემოება. რუსეთის მომავალი და მისი შინაური მდგომარეობის საქმე მარტო რუსეთის მასშტაბით არ გადაწყდება. იგი საერთაშორისო გავლენას ექვემდებარება. საერთაშორისო ურთიერთობა კი არსებითად არ მოითხოვს, რომ რუსეთი ძველი ტერიტორიებით აღსდგეს და იგი უძლიერეს სახელმწიფოთ დარჩეს.

დღეს იმპერიალისტური ომია და პირველ ხარისხოვანი სახელმწიფოები, ანუ სწორეთ რომ ვსთქვათ, კაპიტალისტური ქვეყნები ახალი ბაზრებისათვის და ახალ ტერიტორიების შემოერთებისათვის იბრძვიან. შეუძლებელია მსოფლიო ახალი რუქა არ გამოიჭრას და ძლევამოსილმა სახელმწიფოებმა ახალი ადგილები არ მიითვისონ. ეს არ მოხდებოდა მხოლოდ მაშინ, უკეთუ რუსეთის რევოლიუციას გამარჯვებით დაგვირგვინდებოდა და დემოკრატიულ ზავს მტკიცე საძირკველი ჩაეყრებოდა.

მაგრამ ამ ჟამად საერთაშორისო დემოკრატიის საწინააღმდეგოთ იმპერიალისტური სახელმწიფოები თავიანთ გამარჯვებას დღესასწაულობენ და განუვითარებელ, უკან ჩამორჩენილ ქვეყნების ხარჯზე იზრდებიან.

ამ რამდენიმე ათი წლის წინად საერთაშორისო და საგარეო პოლიტიკის საუკეთესო მცოდნე პარვუსი სწერდა: მომავალში მიხდება უდიდესი ომი, რომლის დროსაც განუვითარებელსა და უკან ჩამორჩენილ სახელმწიფოებს ადგილები წაერთმევათ. რუსეთის ტერიტორიის გადიდება და მისი უზარმაზარი სამფლობელოს არსებობა არ არის გამოწვეული რუსეთის საწარმოვო ძალთა განვითარებით. მისი იმპერიალიზმი პოლიტიკურია და რუსეთის კაპიტალისტური განვითარება სრულიადაც არ მოითხოვს ამოდენა ადგილებს და თუ რუსეთს მოუხდა ომში ჩარევა, იგი დამარცხდება, ადგილები წაერთმევა და უფრო განვითარებულ სახელმწიფოებს დარჩებათო.

დღეს სინამდვილემ გაამართლა ეს: მრავალი ადგილები წაერთვა და რუსეთი ფაქტიურათ დაიშალა. მას ამ ჟამად არ შესწევს იმდენი ძალა, იმდენი უნარი, რომ ძველი რუსეთი თავისი სივრცით აღადგინოს. რუსეთის ასეთი ტენდენცია ეწინააღმდეგება როგორც ცენტრალურ სახელმწიფოების იმპერიალისტების ინტერესებს, ისე შეთანხმების სახელმწიფოებისაც.

რომ ეს სურვილი რუსეთმა სისრულეში მოიყვანოს, უწინარეს ყოვლისა მას უნდა ჰყავდეს ძლიერი არმია, თანამედროვე ტეხნიკით შეიარაღებული ჯარი, ჰქონდეს სამხედრო და სამოქალაქო მრეწველობა განვითარებული, აყვავებული მეურნეობა, წესიერი მიმოსვლა, სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია და სხვა...

მაგრამ ყველა ეს ბალშევიკების ანარქისტული მოქმედების მეოხებით წარმოუდგენლათ დაიშალა. მისი აღდგენა ახლო მომავალში შეუძლებელია.

ამავე დროს იმპერიალისტები იმარჯვებენ და რუსეთს ყოველმხრივ გარს ერტყმიან. არა თუ ცენტრალური სახელმწიფოების მეთაური გერმანია,— თვით შეთანხმების სახელმწიფოები, მეგობრები რუსეთისა, შორეულ აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთით ადგილებს აჭრიან და ამით მის აღდგენას ძირს უთხრიან.

ინგლისი რუსეთის ისტორიული მტერია და იგი თავისი კოლონიებით ძველ რუსეთის საზღვრებს ბევრ ადგილებში უახლოვდება, რომლების უზრუნველსაყოფათ რუსეთის დასუსტება მისი მთავარი მიზანი იყო. ერთ დროს კარლ მარქსი სწერდა: საგარეო პოლიტიკაში რუსეთს ისეთი მარცხი არ მოსვლია, რომელიც ინგლისის ნაკარნახევი არ ყოფილიყოსო.

ახლაც, ამ მსოფლიო ომში, რუსეთი ინგლისმა ჩაითრია და მას დააკისრა ისეთი ტვირთის ზიდვა, რომლის ქვეშაც მას სული ამოხდა.

მართალია, ინგლისს ძლიერი და უსაშინლესი მტერი გერმანია გამოუჩნდა, მაგრამ ამ მტრის საბოლოვოთ დამარცხება და რუსეთის ძველი ტერიტორიებით აღდგენა მოუხერხებელი საქმეა.

უწინარეს ყოვლისა, რუსეთს შინაური ძალა უნდა ჰქონდეს, რომ მან მოახერხოს გაფანტული ტერიტორიების შემოკრება და მათი ერთ კავშირათ გადაქცევა. ეს არ აქვს მას და უცხო სახელმწიფოები კი ამას არ იზამენ. ომი ბაზრების შესაძენათ არის გამოწვეული და აქ მეგობრობა შებრალებას ადგილი არ აქვს. ვინც სუსტია, იმას ჩაშოაჰრიან და იმპერიალისტების გაძლიერება ამათ ხარჯზე მოხდება.

ჩვენ არ შეგვიძლია გადაჭრით ვსთქვათ, რომ ეს ასე მოხდება, ჩვენ მხოლოდ ტენდენციასთან გვაქვს საქმე და საერთაშორისო მიმდინარეობა აქეთ არის მიმართული. გერმანია აღმოსავლეთისაკენ გამოეშურა, კავკასიის საზღვრებს მოადგა და აქ ფეხი მოიკიდა.

ძნელი წარმოსადგენია, რომ მან რუსეთს დაუთმოს ეს ადგილები. მხოლოდ ერთი ძლიერი ტენდენციაა თან სდევს ამ საერთაშორისო ურთიერთობას: ტენდენცია წვრილ ერთა დამოუკიდებლათ შესვლა ძლიერ კავშირში და თავისი ეროვნული არსებობის დაცვა, უკეთუ ეს წვრილი ერები მოახერხებენ თავიანთ შინაური მდგომარეობის გამაგრებას და მტკიცე ნიადაგზე დადგომას.

კავკასია და კერძოთ საქართველო საერთაშორისო ძალთა განწყობილების მეოხებით რუსეთის ფარგლები ვეღარ შევა და ამისათვის რუსეთს არც ძალა და არც უნარი შესწევს.

რუსეთი, სამწუხაროთ, დაიშალა და მისი ძველ საზღვრებში აღდგენა წარმოუდგენელია.

## სასურსათო ორგანიზაცია

სასურსათო ორგანიზაცია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მეტად მოუწყობელია. ეს დიდი და მთავარი საკითხი ჩარჩ-ბაცაცებმა იგდეს ხელთ. პურის სპეკულიაციამ იქამდე მიაღწია, რომ ფართო მასსას თავისი დღიური შემოსავალი პურის ფულათ არ ჰყოფნის.

ვერ ვიტყვით, რომ მას მთავრობა ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდეს და მის წინააღმდეგ ზომებს არ ღებულობდეს, მაგრამ მისი მუშაობა და ორგანიზაციული მოქმედება უნაყოფო გამოდის და ხალხის ტკივილებისათვის მალამო ვერ დაუდვია.

სურსათის და კერძოთ პურის მონოპოლია, მისი სახელმწიფოებრივათ განაწილება არც ისე ადვილი საქმე ყოფილა როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონია. თვით განვითარებულ და კულტურულ ქვეყნებში სასურსათო საქმის მოწესრიგება იდეალურათ არ არის მოწყობილი და იქაც დიდი უკმაყოფილებაა.

გერმანიის რეიხსტაგში პარლამენტის ყველა ფრაქციები მთავრობას ებრძვის და უსაყვედურებენ, რომ გერმანიის სასურსათო ორგანომ გამოკვების საკითხი წესიერ ნიადაგზე ვერ დააყენა. ეს იმ ქვეყანაში, სადაც წარმოების პირობები, ხალხის კულტურული მდგომარეობა მაღალ საფეხურზე იმყოფება. იქაც კი მთავრობა დროის შესაფერათ ვერ ახერხებს ხალხის გამოკვებას. მართალია, გერმანიაში გაბატონებული კლასები დგანან სასურსათო ორგანიზაციის სათავეში და ისინი ხალხის გამოკვების საკითხს დიდ ყურადღებას არ აქცევენ, მაგრამ მარტო სურვილი და კეთილი განზრახვა არ ყოფილა საკმარისი!

ჩვენი წარმოების ურთიერთობა იმეთ პირობებში იმყოფება, რომ დემოკრატიული მთავრობა ვერ ახდენს გავლენას გლეხებზე და განსაკუთრებით ჩარჩებზე. ვიწრო ეგოისტური მოხვეჭის სურვილით გაჟღენთილი გლეხ-კაცობა და ჩარჩები საარსებო პურს სპეკულიაციის მთავარ საგნათა ხდიან და მას სიმდიდრის ობიექტათ იხდიან. პური გლეხებისა და ჩარჩების ხელშია და ისინი, როგორც მოესურვებათ, ისე ჰყიდიან. შრომის ღირებულებას ნიადაგი გამოეცალა და თვით გლეხები და სპეკულიანტები მონოპოლისტებათ გადაიქცენ.

მათ წინააღმდეგ ბრძოლა ერთობ ძნელია. განსაკუთრებით ისეთ სახელმწიფოსთვის, რომელიც ახლა იწყებს საამშენებლო მუშაობას. გარდა ამისა, ეს სახელმწიფო მოწყვეტილია გარეშე ქვეყნებს, პურის ადგილებიდან საჭირო ხორბალი ვერ შემოაქვს.

ყველა ეს პირობები მთავრობას უძნელებს მუშაობას, იგი ვერ ახერხებს დიდმნიშვნელოვანი საკითხის ჯეროვანათ მოწყობას. ამით იმის თქმა არ გვინდა, თითქოს ჩვენმა მთავრობამ გულზე ხელები უნდა დაიკრიფოს და სტიქიის მსვლელობას მიეცეს.

მან ყველი ღონე უნდა იხმაროს, რომ საჭირო პური გარედან შემოიტანოს და ამ გზით გაუწიოს მეტოქეობა ჩვენებურ სპეკულიანტებს. რასაკვირველია, აქ არ კმარა სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, კერძო ინიციატივასაც ადგილი უნდა დაეთმოს სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ. ამასთან მთავრობამ ყოველი ზომა უნდა იხმაროს, რომ გლეხებისათვის საჭირო საქონელი იშოვოს და მათ პურზე გაუცვალოს.

ეს ორი გზა მთავარი საშუალებაა, რომლის მეოხებითაც წვრილ გლეხურ უსაზღვრო ეგოიზმს და წურბელების თავ გასულობას საზღვარი დაედება და ხალხის გამოკვებაც უკეთეს მდგომარეობაში მოთავსდება.

დღეს ჩვენ ისეთ ობიექტურ პირობებში ვიმყოფებით, რომ პურის სპეკულიანტების წინააღმდეგ ბრძოლისათვის ერთი უნივერსალური საშუალება არ მოგვეპოება. ყოველი გზა და სალარი კარგია, უკეთუ იგი დამშეულ ხალხს შეღავათიან პირობებში პურს მიაწვდის და შას სიკვდილისაგან იხსნის.

პურის პატრონები და პურის სპეკულიანტები ჩვენი ხალხის მტრებია. და მათ წინააღმდეგ ბრძოლაში მთავრობამ ყველა საშუალება უნდა იხმაროს. ხალხის პურით დაკმაყოფილება ის მტკიცე საფუძველია, რომელზედაც უნდა აშენდეს ჩვენი დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

## პრესა

გუშინდელი „ტრუდოვოე ზნამია"-ს თითქმის მთელი ნომერი საქართველოსადმი არის მიძღვნილი.

უმცირესობის ინტერესების დაცვა, ნაციონალიზაციის ველური საშვალებებით გატარება, ადგილობრივი პრესის ერთი ნაწილის (იგულისხმება, რა თქმა უნდა, ქართული პრესა) აღვირ წახსნილი ტონი, „ერთობის" ცინიკური აზრი, თითქოს გადმოხვეწილთა შორის ავადმყოფებს განგებ მალავდენ, მოგონება მ. გეგეჭკორზე, თითქოს მისი მოკვლა საჭირო ყოფილიყოს „რევოლიუციის გადასარჩენად და მის გასამარჯვებლათ", „შრომი"-დან იმ წერილის გადაბეჭვდა, სადაც ლაპარაკია გერმანიასთან დადებულ ხელშეკრულობაზე, თუმცა ეს ხელშეკრულობა ჯერ მთავრობას არ განუხილავს და რომლითაც თურმე საქართველო გაყიდულია. ამიტომ „მთავრობა ვალდებულია გააცნოს ხალხს ეს ხელშეკრულობა, ვინაიდან დაბოლოს ყველაფერში პასუხს აგებს მშრომელი ხალხი", დაბოლოს გაზეთს მოჰყავს ის განცხადება, რომელიც სხვადასხვა დროს დაპატიმრებულმა რუსის აფიცრებმა, როგორც უდანაშაულოდ დასჯილებმა, ისპანიის ელჩს მიართვეს და შველა სთხოვეს.

აი წერილების თემა!

ერთი სიტყვით, საქართველო და მისი მთავრობა, მის პრესა აი რა ყოფილა მთელი ბოროტების სათავე!..

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ „ტრუდოვოე ზნამია"-ს იმდენად აინტერესებს საქართველოზე წერა, რამდენა-

თაც ის ამ გვარი წერით საქართველოს დამოუკიდებლობას ძირს უთხრის.

ამ კამპანიას ეს გაზეთი თვალთმაქცურად აწარმოებს—ენაზე აკერია დემოკრატია, მისი ინტერესები, მშრომელი ხალხი და სხვას გულში კი, სულ სხვა „ბოლმა“ უტრიალებს.

საინტერესო აქ ის მოვლენაც არის, თუ როგორ გაიხადეს „კუდათ“ ზოგიერთ საკითხებში რუსმა ესერებმა ქართველი, „შრომელი“ ესერები.

ეგრედ წოდებულ მემარცხენე დაშნაკელთა „აშხატავორი“ ითვალისწინებს რა იმ მომავალს, რომელიც მოელის ამიერ კავკასიას ინგლის-გერმანიის მოსალოდნელი შეტაკებით, სწერს:

„ძმობის, მშვიდობიანობის და მუდმივი ნეიტრალიტეტის ნაცვლათ ახალი ძმათა შორის სისხლის ღვრა. აი როგორ ასწავლის და სჯის ისტორია პოლიტიკურ დეზერტირებს და პოლიტიკურ ბალღებს, რომელთაც დავიწყებიათ ცხოვრების გაკვეთილი“.

ჩვენ დავ'ძენთ: აგრეთვე პოლიტიკურ ავანტიურისტებს და შევეკითხებით დაშნაკელთ—რამდენჯერ გამოსულან ისინი ამ ჯურის მოღვაწეთა როლში!

* *
*

„კავკაზსკოე სლოვო“ უკმაყოფილოა საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ ზომებით ალბულახში მომხდარი ამ?ების გამო. გაზეთის თქმით

„ბელი კლიუჩის რაიონი დასახლებულია უმთავრესად სომხებით და რუსებით და ეს რაიონი შედის საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში. ყველანი ჯერ კიდევ ვერ შეურიგდენ არსებულ მდგომარეობას. ასეთ პირობებში შესაძლებელია უთანხმოება ექნეს ადგილი მთავრობის აგენტებსა და მცხოვრებლებს შორის და სხვა“.

მაგრამ მთავრობამ უნდა აცნობოს საზოგადოებას საქმის ვითარება და პრესა, საზოგადოება დაეხმარება მას უთანხმოების მოსპობის საქმეშიო.

რა მოხდა ბელი კლიუჩში? ამის შესახებ „სახალხო საქმეში“ შემდეგი ცნობაა მოთავსებული:

„ალბულახის ნაწილებს შეადგენენ სოფლები პოსელენიე და კონსტანტინოვკა, რომლებიც რუსებით არიან დასახლებულნი. აქვე ალბულახის ახლო მდებარეობენ სოფლები დაგედხაჩინი, სამშვილდე და დმანისი და სხვანი. ამ სოფლებში სომხები და დმანისში კი ოსები მოსახლეობენ. მთელი ნაწილი ისედაც ჩვენდამი მტრობით გაგესლიანებული დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, უფრო წათამამდენ დ აიქოჩრენ, მით უმეტეს, როდესაც მათ სათავეში ჩაუდგენ შეგნებული პროპაგანდისტები. განსაკუთრებულ თავხედობას თავიდანვე იჩენდენ ალბულახის მცხოვრებნი—რუსობა, ხოლო ამ ბოლო ხანებში მათ გვერდში ამოუდგნენ სამშვილდესა და დაგედ ხაჩინის სომხობა და შემდეგ სხვა სოფლებიც როგორც მაგალ. დმანისელი ოსობა. ჯერ კიდევ გამოურკვეველ მეთაურების წინამძღოლობით აღნიშნულ რაიონის მცხოვრებლებმა ამა წლის იანვარში გაზიდეს და ალბულახის სახელმწიფო საწყობიდან გაიტანეს 2000 ვინტოვკის სისტემის თოფი, უანგარიშო პატრონები და ბრძოლისთვის საჭირო მოწყობილებანი. თავის დროზე ასეთ სახელმწიფოებრ ბოროტებას ყურადღება არავინ მიაქცია, თავხედნი კიდევ უფრო წათამამდენ და აშკარად და სისტემატიურად დაუწყეს სახელმწიფო ქონებას ძარცვა-გლეჯა. აგვისტოს ბოლო რიცხვებამდე იქაურს ქონებას როგორც შეეძლოთ მფარველობდა ქართული მე 6 პოლკის აფიცრობა, სულ 25—30 კაცამდე. ამ ზაფხულს რამდენიმე მო-აგარაკე იყო მისული ალბულახში. ათას სულზე მეტი გამოქცეული სომხობა შეეფარა ალბულახს. სხვა საშუალება რომ ვერ გამონახეს რა, გამოქცეულები ყაზარმებსა და სახელმწიფო სხვა შენობებშიაც მოათავსეს.

აგვისტოს შუა რიცხვებიდან ალბულახელნი უფრო მოურიდებელსა და აშკარა გამოსვლებსაც ბედავდნენ ჩვენის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ღამით ბრბოები გამოდიოდნენ, თვრებოდნენ, თარეშობდნენ და განუკითხავად თოფების სროლით შიშის ზარსა სცემდენ მშვიდობიან მცხოვრებლებს. ეს თავხედი ხალხი ქონებასაც აშკარად ეტანებოდა და მიჰქონდა, თუ რამეს მოახელებდა დღისით კი უფრო მეტი წესიერება იყო და უკლობებდენ კიდეც იქ მდგომ აფიცრობას შენიშვნებზე არ წაელოთ, არ გაეოხრებინათ ქონება. ბოლოს ეს გაგონება მოისპო და ხალხში რაღაც ჩუმი მუქარაც ისმოდა, თუ აფიცრობა იქაურობას თავის ნებით არ დასტოვებდა აგვისტოს 24 თუ 25 ს უკვე გამომზეურდენ პროპაგანდისტებისაგან ალიზიანებულნი მოთარეშენი და ღამით საშინელი სროლა აუტეხეს სოფლის იმ ნაწილს, სადაც ყაზარმები, სამხედრო ქონებათა საწყობები და მე-6 პოლკის ოფიცრობა ბინადრობდა, როდესაც ბრბომ იგრძნო, მათ წინააღმდეგობას ვერავინ გაუწევდა, შეესია საწყობებს და დაიწყო ძარცვა-გლეჯა. აკლება-და ძარცვა გაგრძელდა თითქმის სამი დღის განმავლობაში აგვისტოს 29-მდე. ამ ბოროტებაში მონაწილეობდნენ, როგორც ალბულახელნი, ისე ხიჩინელი და სხვა სოფლის მცხოვრებნი.

როდესაც რამდენიმე მილიონად საღირალი ქონება ხალხმა გაიტაცა-შემდეგ გამხეცებულებმა ხელი მიჰყო შენობის მტვრევას და განადგურებას. ბოლო დღეს ცეცხლიც მოუკიდეს და გადასწვეს საწყობები, ნაწილი ყაზარმების და სხვა შენობებისა. ალბულახის რუსობას და ხაჩინელ სომხობას. ძარცვასა და ქონებათა განადგურებაში არ ჩამორჩნენ დმანისელი ოსებიც და ზოგიერთ ახლო-მახლო სოფლის მცხოვრებნიც. ადგილობრივ მცხოვრებლებს ალბულახში თავ-შეფარებულ ლტოლვილმა სომხებმა გადააჭარბეს. ეს ხალხი კალიასავით მიესია სახელმწიფო ქონებას და გაიტაცა მრავალი ნივთი და სანოვაგე. მნახველებმა გადმოგვცეს ლტოლვილებმა დაბარგეს ნადავლით 30-მდე დიდი ფურგუნები, აიყარნენ ც გნებივით და წავიდნენ არ ვიცით საით: თფილისისა, შულავერსა თუ სხვა ადგილისაკენ. სხვათა შორის, მნახველებმა გადმოგვცეს კიდევ სურათი თუ როგორი ღრიანცელით შეცვივდა ბრბო თოფებითა და კეტებით ალბულახის ოფიცერთა საკრებულოს ასაკლებად. მეთაურებმა დასძახეს: ჩვენ ნიკოლოზი აღარა გვყავს, მაშ ეს ქონება ჩვენ აღარ გვეკუთვნის, დაჰკათ, დალეწეთ და აახრეთ, საქართველოს რესპუბლიკასაც ნუ შევარგებთო და შეიქნა ფანჯრებისა, კარებისა და ისეთი ნივთების მტვრევა და ლეწვა, რომელთა წაღებაც ვერ შეეძლოთ“.

* *
*

მართალია, „კავკ. სლ.“ სწერს—საქმის ვითარება რომ გვცოდნოდა მთავრობას დაეხმარებოდითო, მაგრამ რაღაც არა გვჯერა, რომ ეს ასე მომხდარიყო, ვინაიდან იმ აზრის გავრცელებაში, რომ „საქართველოს რესპუბლიკასაც ნუ შევარგებთო“. ამ გაზეთს მცირედი ღვაწლი არ მიუძღვის ჩვენი დამოუკიდებლობის აშკარა მტრებთან ერთად.

# დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

**5 სექტემბერი.**

**როტერდამი.** „როტერდამის შიკრიკი“ ეხება რა სამხედრო მოქმედებას დასავლეთ ფრონტზე სწერს: ინგლისელები იმავე პრობლემის წინაშე დგანან, რომლის გადაჭრას ისინი ფიქრობდენ, როცა იერიშებით წამოვიდნენო. „ჰუმანიტეს“ აზრით საფრონტო იერიშებით არ შეიძლება გერმანელების გარეკა, ვინაიდან ისინი გამაგრებულნი არიან წინასწარ არჩეულ პოზიციებზე.

„მორნინგ პოსტის“ გადმოცემით საბჭოთა მთავრობამ მოსკოვიდან ბრძანება გასცა, რათა საბჭოებმა მთელს რუსეთში საალყო წესები არ მოხსნანო.

**ბერლინი.** გერმანიის კრონ-პრინცმა ბუდაპეშტის გაზეთის თანამშრომელს შემდეგი უთხრა: ჩვენში შეეჩვიენ მუდამ გამარჯვებას და როცა თავის დაცვა გვიხდება, ეს ვერ წარმოუდგენიათო. ერთი არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ ვაწარმოვებთ თავდაცვითი ომს როგორც ფრონტზე, ისე პოლიტიკის სფეროში. მხოლოდ ჩვენი მტრები აწარმოებენ ომს ჩვენდა გასანადგურებლათ, ჩვენ კი აზრათ არ გვაქვს, რომელიმე ჩვენი მოწინააღმდეგის განადგურება და გამარჯვება ჩვენ ისე კი არ გვესმის თითქოს მტერი უნდა გავანადგუროთ არამედ—არ გვსურს ვისიმე მონები გავხდეთო.

**6 სექტემბერი**

**ბერლინი.** იპრსა და ლა-ბასსეს შუა მტერი ჩვენი პოზიციებისაკენ მოიწევდა. ჩვენი პოზიციების წინ დატოვებულმა რაზმებმა წესიერად დაიხიეს. ვიჩატესთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ. სკარპისა და სომის შუა მტერი მოუახლოვდა ჩვენს პოზიციებს. სომმაზე საარტილერიო სროლაა. სომმასა და უაზს შუა ჩვენ განვაგრძეთ რუას რაიონში 26 აგვისტოს დაწყებული ჯარების გადაჯგუფება და უკანასკნელ ღამეს უბრძოლველათ დავშორდით მტერს. ჩვენ მიერ დატოვებულ ადგილებში საფარად დატოვებული რაზმები გუშინ ნაშუადღევს გამოშორდენ ამ ადგილებს. საღამოთი მტერმა მოაღწია ვუენი-ფრისკარდ აპილლის ხაზამდე. ელეტის ველზე მოვიგერიეთ მტრის იერიში. ელეტის სამხრეთით, ტერთანაც მტრის იერიში უნაყოფო იყო. სუასენის აღმოსავლეთით ვესლის მიმართულებით წამოვიყვანეთ ჩვენი ძალები. ჯარების გადმოყვანა წესიერად მოხდა. გუშინ ჩამოვაგდეთ მტრის 32 აეროპლანი.

**ვენა.** კარნიის ოლქში და მონტოპერტიკის აღმოსავლეთით ჩვენი იერიშები წარმატებით დამთავრდა.

**სტამბოლი.** იერუსალიმ-ნაბლუსის გზაზე მტრის იერიშები მოგერებულ იქნა. ორივე მხრით საარტილერიო სროლაა. იორდანის ოლქში სიწყნარეა.

**სტამბოლი.** თალაათ-ფაშა და საგარეო საქმეთა სტატ-სეკრეტარის თანაშემწე რაშიდ რიკქედი ბერლინში გაემგზავრენ თათბირზე დასასწრებლად. ბერლინს გაემგზავრა აგრეთვე გრაფი ბერნსტორფი.

**ვენა.** იმპერატორმა გოფბურგში მიიღო ბულგარეთის მეფე. თათბირი საათნახევარს გაგრძელდა.

**მოსკოვი.** (მიღებულია ბერლინიდან 5 სექტემბერს). ლენინის ჯანმრთელობა საშვალოთ არის. ავათმყოფობის გართულება არ არის თავიდან აცილებული.

**ამსტერდამი.** „დეილ-მეილის“ იტყობინება, რომ ჩეხო-სლოვაკების მოწინავე რაზმები ვერხნეუდინსკის მხრით ბაიკალის ტბის აღმოსავლეთით შეუერთდენ პოლკოვნიკ სემიონოვის რაზმს. ჩეხო-სლოვაკების უფროს გენერალ ცეკრეხსის ტელეგრაფით კავშირი აქვს ბაიკალის იქითა მხარეს მყოფ ჩეხო სლოვაკებთან.

**მოსკოვი.** 2 სექტემბერს საღამოს 8 საათზე ვ. ულიანოვ-ლენინს მაჯისცემა ჰქონდა 120, ტემპერატურა 37,5, სუნთქმა 26. თვითგრძნობა კარგი აქვს. საერთო მდგომარეობა ავადმყოფის გვარიანია, მარცხენა ფილტვში ცვლილება არ მომხდარა. დღით ეძინა. მადა გაეხსნა. საღამოს კონსულტაციაში მონაწილეობა მიიღეს: პროფეს. მინცმა, დ-რ ბამონოვმა, ვ. ვეისბროდმა, ვინოკუროვმა, როზანოვმა, ბარანოვმა, ობუხოვმა. სოვნარკომის საქმეთა მმართველი ვლ. ბონჩ ბროევიჩი.

**ბერლინი.** მტრის ზურგის ჯარში ჩვენმა აეროპლანებმა 1,157,957 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება ჩაჰყარა.

# მთავრობაში

საქართველოს მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენელის რუსეთში გ. ხუნდაძის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: 1) წარმოდგენილი შტატები და ხარჯთაღრიცხვა, 2) გაეხსნას ხსენებულ ხუნდაძეს რუსეთში წარმომადგენლობის ხარჯების დასაფარავად ამა წლის 1 სექტემბრიდან 1919 წლის 1 იანვრამდე თვიურად 20 ათასი მანეთი, სულ 80 ათასი მანეთის კრედიტი ათ მილიონიან ფონდიდან. 3) ეს დადგენილება შტატებისა და ხარჯთ აღრიცხვა გადაეცეს ეროვნულ საბჭოს დასამტკიცებლათ.

---

მთავრობის თავმჯდომარის მოხსენებით, ამიერ კავკასიის რუსთა ეროვნულ საბჭოს შეკითხვის გამო რუსთა ჯარში გაწვევის შესახებ მთავრობამ დაადგინა: ეთხოვოს საკონსტიტუციო კომისიას შეიმუშაოს დამატებითი კანონ-პროექტი საქართველოს მოქალაქეობის (ქვეშევრდომობის) მოპოვებისა და დაკარგვის შესახებ.

---

ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ სალიკვიდაციო განყოფილების მთავარრწმუნებულის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: ა) 15 სექტემბრიდან კავკასიის და ამიერ-კავკასიის ყოფილ ფრონტის და აგრეთვე ამ ფრონტის სამხედრო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყველა ლიკვიდაცია მომხდარ ნაწილების დაწესებულებათა და მოხელეთ მოესპოთ ასიგნოვკებისა და ჩეკების განაღდება ბ) ფულის დოკუმენტების განაღდებას მაგიერ 15 სექტემბრიდან სათანადო დაწესებულებათ ევალებათ აძლიონ ამ დოკუმენტების მეპატრონეთ მოწმობები, რომ ისინი კრედიტორები არიან რუსეთის სახელმწიფოსი.

---

შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებით ბაქოელ ქართველ ეროვნ[...] ჰოს დახმარების თხოვნის შესახ[...] რობამ [...] ამ საკით[...] თად [...] რისთვისაც გაეხსნას მათ ათ მ[...] ფონდიდან 50,000 მანეთის კრ[...]

---

სამხედრო მინისტრის მოხსენ[...] ინტენდანტოს უწყების ხელშე[...] თა პროექტების შესახებ აბრამ[...] და ზაუტაშვილთან პურისა დ[...] ჩაბარების თაობაზე მთავრობამ [...] გინა: ა) აბრამოვიჩთან ხელ შე[...] არსებითად გარჩეულ იქმნას იმ [...] ვაში, თუ ის დათანხმდება, რო[...] ნილი იქმნას შესწორება პურში [...] ში გასაცვლელ საქონლის შეფა[...] აგრეთვე ჩეკების წარმოდგენის [...] ბ) ხელშეკრულობა ზაუტაშ[...] პრინციპიალურად დამტკიცებუ[...] ხოლო ეს ხელშეკრულობა გადა[...] ხელმწიფო კანტროლიორს [...] შესწორებისათვის სამხედრო [...] დანტო უწყებასთან შეთანხმები[...]

---

მიწათმოქმედების მინისტრის [...] გის მოხსენებით სტატისტიკის [...] ორგანიზაციის შესახებ მთავრო[...] ადგინა: დაევალოს მინისტრის [...] შესწოროს პროექტი მთავრობ[...] მჯდომარის და სახელმწიფო კ[...] ლიორის შენიშვნების თანახმად [...] მოადგინოს მთავრობის შემდეგ სხ[...]

# ახალი ამბე[...]

ოქრო საქართველოში. საქარ[...] სამთო სამმართველო ახლო [...] ვალში შეუდგება ოქროს მადნე[...] გამოკვლევას სვანეთში. მსამარ[...] შეუდგა ხარჯთ აღრიცხვის და [...] გიურ პარტიის შედგენას; უკანა[...] ახლო მომავალში გაემგზავრება სვა[...]

✦ **წითელი ჯვრის საზოგა[...]** დაარსება. თანახმად საქართველ[...] პუბლიკის მთავრობის 16 ივლისი[...] გენილებისა, არსდება ქართულ[...] თელი ჯვრის საზოგადოება.

✦ **ბაქოს გარშემო.** როგორც [...] სწარ მოლაპარაკებიდან გამ[...] ადერბეიჯანის მთავრობას გა[...] აქვს მეტად მძიმე საზავო პირობ[...] რუდგინოს ბაქოს. ყველა ეს პ[...] რადიოთი შეატყობინეს ბაქოს [...] ტორებს. საზავო დელეგაციის გ[...] რება იმაზეა დამოკიდებული—და[...] დებიან თუ არა ბაქოელები ამ პ[...] ბის ფარგლებში მოლაპარაკების [...] თვის. რაც შეეხება გერმანიის [...] მოღვაწეობას, უკანასკნელს შ[...] მხოლოდ რჩევა მისცეს, ორივე [...] და ურჩიოს ზავის ჩამოგდება. პრო[...] რის ცუგმაიერის აზრით, გერმანი[...]

# გერმანიაში

VI

საღამოთი 4 საათზე ედუარდ ბერშტეინი და კონი ჩემთან ბინაზე მოვიდენ.

ვიდრე მთავარ საკითხზე ლაპარაკს დავიწყებდით ჩვენს ე. ა. ბერშტეინსა და ამხანაგ სტუმრებს საქართველოსა და ამიერ-კავკასიის მდგომარეობის შესახებ კერძო ხასიათის ლაპარაკი ჰქონდათ. ედუარდ ბერნშტეინი ჩვენს ბერშტეინს გულმოდგინეთ უგდებდა ყურს, სამაგიეროდ კონი მოუსვენრობას იჩენდა და ხშირად ე. ა ბერნშტეინს ლაპარაკს აწყვეტინებდა.

მალე ედუარდ ბერნშტეინმა მათ ლაპარაკი შეაწყვეტინა; ითხოვა, რომ მოკლე მოხსენება გამეკეთებია და საქართველოს აწმყო მდგომარეობას გასცნობოდა. ვიდრე მოხსენებას გავაკეთებდი მე მათ საოლქო კომიტეტის მიერ მოცემული მანდატი ვაჩვენე, სადაც, სხვათა შორის, ირ. წერეთელს ხელი ეწერა. ამას კონმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და გაკვირვების ნიშნათ თავი გაიქნია. მის მიმიკაზე მოკლეთ ვუპასუხე: ირ. წერეთელი იმ აზრსა და შეხედულებას, რომელსაც მე თქვენ გაგიზიარებთ იზიარებს და მასთან ერთად იზიარებენ ჩვენი სხვა ლიდერები, როგორიც არიან ნ. ჟორდანია, ჩხეიძე და სხვები. ამაში მან ავანსით ეჭვი შემოიტანა.

მეც შევუდექი მოხსენების გაკეთებას. მოკლეთ გავაცანი ამიერ-კავკასიის და განსაკუთრებით კი სოციალ-დემოკრატიული პარტიის როლი რუსეთის რევოლიუციაში. ხაზი გავუსვი იმ მოვლენას, თუ როგორ თავგანწირულად იბრძოდენ ჩვენი, უმთავრესად ქართველი სოციალ-დემოკრატები და მისი ბელადები ნ. ჟორდანია, წერეთელი, ჩხეიძე, გეგეჭკორი, რამიშვილები და სხვები. უკანასკნელ წუთებამდე მათ გამოყოფის იდეა აზრათაც არ მოსვლიათ და ყველანი რუსეთთან დარჩენის მომხრენი იყვენ, მაგრამ ბალშევიკების ანარქო-ბლანკისტური პოლიტიკის მეოხებით შეიქნა ისეთი შინაური და საგარეო ურთიერთობა, რომ თუ გვსურდა ხალხი ფიზიკურ განადგურებისაგან გადაგვერჩინა, ასეთი ნაბიჯი უნდა გადაგვედგა. გარედან მტერი მოგვადგა, შინაური ძალა აღარ მოგვეპოვებოდა, რუსეთისაგან დახმარებაზე ლაპარაკი მეტი იყო. პირიქით, ბალშევიკები რუსეთიდან დახმარების მაგიერ მუქარას გვითვლიდენ და შინ ამბოხებებს გვიწყობდენ. ოსმალეთის ჩვენს საზღვრებში შემოჭრა, მათ მიერ ჩვენი ტერიტორიის დაკავება და ბალშევიკების მიერ შინაური ანარქიისა და სოციალისტური მთავრობის წინააღმდეგ ამხედრება ერთ დროულათ ხდებოდა. თავ-აღებული ბალშევიკების პოლიტიკის მეოხებით შეიქნა ისეთი მდგომარეობა, როცა ჩვენ იძულებული გავხადეს ასეთი ნაბიჯი გადაგვედგა. ჩვენი სურვილის წინააღმდეგ ჯერ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ და შემდეგ როცა იგი გარეშე ძალის მეოხებით დაიშალა—გამოვაცხადეთ საქართველოს დამოუკიდებლობა და გერმანიასთან კავშირი დავიკავეთ. ორ ბოროტებიდან ნაკლები ბოროტება ვარჩიეთ.

ჩემი მოხსენება უფრო ვრცელი გამოდგა, ვიდრე ამას ედ. ბერნშტეინი და კონი მოელოდა და როცა შევატყე, რომ მოხსენება ვრცელი გამოდიოდა, ბოდიში მოვიხადე, ოქვენთვის მოკლე მოხსენება უნდა გამეკეთებია და მე კი ასე ვრცლათ მოვყევი თქვა, ამაზე ედუარდ ბერნშტეინმა მოკლეთ მიპასუხა: რაც ვრცლათ იქნება მოხსენება, იმდენათ ნათელი წარმოდგენა გვექნება თქვენს მდგომარეობაზეო.

ედ. ბერნშტეინი ყოველ ჩემს ნათქვამს თავის დაქნევით ადასტურებდა და ხშირათ შემდეგი სიტყვებით მაწყვეტინებდა მოხსენებას: სხვა გზა არ გქონიათ და ასეც უნდა მოქცეულიყავითო. აშკარა იყო, რომ ბერნშტეინმა ჩვენი მდგომარეობა გაითვალისწინა და იგი სავსებით ჩვენს ნიადაგზე დადგა. მხოლოდ კონი პესიმისტობას იჩენდა, ჭკუაში არ მოდიოდა ჩემი ნალაპარაკევი.

მოხსენების გათავების შემდეგ დაიწყო კამათი, შეკითხვების მოცემა. კამათი მხოლოდ კონმა დაიწყო. მან მოკლეთ განაცხადა: მართალია თქვენ მდგომარეობამ გიკარნახა ასეთი ნაბიჯის გადადგმა, თქვენ ასე უნდა მოქცეულიყავითო, მაგრამ მაინც ვერ შევრიგებივარ იმ აზრს, რომ თქვენ გერმანიის მთავრობას მიმართეთ და მისგან ელით ფიზიკურ გადარჩენასო. ამაზე საძაგელი მთავრობა ახლა კაცობრიობამ არ იცის; ის თქვენ ქვეყანას გამოხრავს, გამოსწურავს და შემდეგ ოსმალეთს მიგიგდებთო. გირჩევთ ნდობით არ მოეკიდოთ გერმანიის მთავრობას და მასზე დიდ იმედებს ნუ დაამყარებთო. სხვა ბევრი რამეებიც ილაპარაკა, მაგრამ ამას უფრო საზოგადო ხასიათი ჰქონდა და იგი უმთავრესად მენშევიკებსა და ბალშევიკებს შორის დამოკიდებულებას ეხებოდა. ერთი რამ აშკარა იყო, მას ვიღაცას შთაგონებით ბალშევიზმი უაღრეს სოციალისტურ პარტიათ მიაჩნდა.

რა თქმა უნდა ამის შესახებ ჩვენი აზრი და შეხედულება გამოთქვი და ჩემსა და კონს შორის კამათმა მკაცრი ხასიათი მიიღო. შემდეგ კამათში ედუარდ ბერნშტეინიც ჩაერია და ჩემთან ერთად ეკამათებოდა კონს. ბერნშტეინი არ იზიარებდა კონის შეხედულებას და ჩვენს პოზიციას იცავდა. ედუარდ ბერნშტეინი ჩვენ დამოუკიდებლობის საკითხს უტრიალებდა, ჩვენ მიერ გადადგმულ ნაბიჯის სამართლიანობას უმტკიცებდა. კონმა მას მოკლეთ განუცხადა: მე და საზოგადოთ ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, პრინციპიალურად ამა თუ იმ ერის გამოყოფის წინააღმდეგი არ ვყოფილვართ, უკეთუ ამას ერის უმრავლესობა მოითხოვს; მით უმეტეს, ასეთ პირობებში. მე მხოლოდ კავკასიელ ამხანაგებს ვაფრთხილებ, რომ ისინი ნდობით არ მოეპყრან გერმანიის მთავრობას, რომელიც ჩემის აზრით საქართველოს დამოუკიდებელ არსებობაში იმდენათ არის დაინტერესებული, რამდენათაც ამას მისი იმპერიალისტური ინტერესები მოითხოვენო. მხოლოდ არ გეთანხმებით ბალშევიზმის დახასიათების ზოგიერთ მხარეებში და წინააღმდეგობაც ჩვენს შორის უმთავრესათ ამ კითხვის გარშემო არისო.

აქაც ედუარდ ბერნშტეინმა მოკლეთ უპასუხა: ბალშევიკების შესახებ თქვენ აზრს არც მე ვიზიარებ და ამ ამხანაგს ვემხრობიო. ამან ცოტა არ იყოს, გააწიწმატა ამხ. კონი და მან კვლავ დაიწყო დასახელებულ კითხვის გარშემო ლაპარაკი. აქ კვლავ შევებით ერთმანეთს. მან მე ღიმილით მითხრა: თქვენ ბალშევიკებს ისე ახასიათებთ, თითქოს ისინი გერმანიის მთავრობაზე უვარგისი და საშინელები იყვნენო. მაშინ მე უთხარი: ამ ჟამათ მე თქვენ გელაპარაკებით, როგორც საოლქო კომიტეტის წევრი კი არა, არამედ—როგორც კერძო პირი და გადაჭრით გეტყვით: დიახ, მე ბალშევიკების მთავრობას გერმანიის იმპერიალისტები მირჩევნიათქვა. ჩემმა ასეთმა პასუხმა გვარიანათ გააცხარა კონი და კიდევ დაიწყო გერმანიის მთავრობის ლანძღვა. თითქოს ამით იგი მე კბილს მჭრიდა და თავის პოზიციას ასაბუთებდა!

ჩემსა და კონს შორის კამათი კიდევ გაგრძელდებოდა ედუარდ ბერნშტეინს რომ არ ეთქვა: ახლა რეიხსტაგის კომისიის სხდომა გვაქვს და იქ უნდა წავიდეთო. გამომშვიდობების დროს, კარებში რომ გადიოდა, ედუარდ ბერნშტეინი მომიბრუნდა და მითხრა: რასაკვირველია, თქვენ ჩვენს დამოუკიდებელ ფრაქციაში მოხსენებას გააკეთებთო. იქ ფრაქციის ყველა წევრები დაესწრებიან და საბოლოვო აზრს იქ შევიმუშავებთო. მე არ ვიზიარებ ამხ. კონის შეხედულებას და ვერ მივემხრობი მასო. ამასთან მითხრა: დროს, თუ როდის გააკეთებ მოხსენებას ჩვენს ფრაქციაში, მე შეგატყობინებო. უკეთესი იქნება კაუცკისაც ინაზულებდეთო და თან დასძინა: ხომ იცით კაუცკი ჩვენი უდიდესი თეორეტიკოსია, იგი კითხვას უფრო ფართოდ და პრინციპიალურად დააყენებს. უკეთესი იქნება თუ ნებას მომცემთ, ჯერ გავაცნობ მას საქმის ვითარებას, და მერე ერთად წავიდეთ და მოველაპარაკოთო. მე რა თქმა უნდა, დავთანხმდი და ვთხოვე შეეტყობინებია, თუ როდის შეიძლებოდა კაუცკის ნახვა.

ამ სიტყვების შემდეგ ის ტელეფონით დაელაპარაკა კაუცკის. აცნობეს, რომ ამ ჟამად კაუცკი ბერლინში არ იმყოფება, სამი დღით ქალაქ გარეთ გავიდა, როცა მოვა, გაცნობებთო. მაშინ ბერნშტეინმა სთქვა: ვიდრე კაუცკის ვნახავდეთ თქვენ ამ ხნის განმავლობაში ფრაქციაში გააკეთე მოხსენება და დროს ნუ დავკარგავთო. სამ დღეში მოვახერხებ ფრაქციის წევრებს თავი მოვუყარო და შეგატყობინებთო. ამით გათავდა ბერნშტეინთან და კონთან პირველი საუბარი და ერთმანეთს დავემშვიდობეთ.

ამ საუბრის შემდეგ აკაკი ჩხენკელი ვინახულე და მას დაწვრილებით გავაცანი ლაპარაკის შინაარსი. სწორეთ ამ ლაპარაკის დროს ჩვენთან შემოვიდა მ. წერეთელი და მითხრა, რომ ხვალ შეიდემანთან ვართ დაბარებული, წავიდეთ და ვნახოთო. სხვათა შორის, მე ვუთხარი მას თქვენი ვინაობა და მან სთქვა: ის აუცილებლად მოვიდესო. შეიდემანისა და მისი ფრაქციის ნახვა მე საკუთრათ მინდოდა, ამიტომ არ მიმაჩნდა მოხერხებულად მასთან მისვლა, როცა სხვებიც იქნებოდნენ. მაგრამ რას ვიზამდი, მ. წერეთელი შეპირებოდა და მეც მასთან და სხვებთან მეორე დღეს წავედით შეიდემანთან. სხვათა შორის, წამოვიდა არშაკ ზურაბოვიც.

სალაპარაკო ადგილი რეიხსტაგის შენობაში, ფრაქციის ოთახში, იყო დანიშნული. ფრაქციის ოთახში დაგვხვდენ შეიდემანი, დავიდი და ებერტი. აქ მოკლე მოხსენება გააკეთა მ. წერეთელმა, რომელმაც უმთავრესათ ჩვენ ისტორიულ უფლებას გაუსვა ხაზი. ყველანი გულმოდგინეთ უსმენდენ. მოხსენების შემდეგ დავიდმა მოკლეთ შენიშნა: ჩვენ საქართველოს ისტორიულ უფლებას საფუძვლათ ვერ გავიხდით და არ გვინდა რუსეთის შინაურ საქმეებში ჩავერიოთო—და დაუმატა: ჩვენს ფრაქციას არ შეუძლიან თავისი შეხედულება გამოსთქვას, ვიდრე ამხანაგის (ჩემზე მიუთითა) მოხსენებას არ მოვისმენთო.

ამის შემდეგ დავიშალენით. შეიდემანმა და დავიდმა მთხოვეს — მეორე დღეს ამავე ალაგას მათთვის გამეკეთებია მოხსენება. მე იქვე დავრჩი, ვინაიდან რამდენიმე წუთის შემდეგ რეიხსტაგის სხდომა უნდა დაწყებულიყო. მსურდა დასწრება.

დავიწყე დავიდთან ერთად ფოიეში სიარული. ის ამხანაგებს მაცნობდა. ვიდრე ამხანაგებთან საერთო საუბარს დავიწყებდი, დავიდმა მითხრა: ნუ თუ წერეთელმა, ჩხეიძემ, გეგეჭკორმა და რამიშვილმა რუსეთის ორიენტაცია შესცვალესო. უმთავრესად მას აკვირვებდა წერეთლის და ჩხეიძის საქციელი. ისიცა სთქვა: წერეთელი ხომ თავგანწირული მებრძოლი იყო რუსეთის საერთო დემოკრატიული ფრონტის, მაგრამ ვერაფერს გახდა და ახლა საქართველოს დამოუკიდებლობას მიმხრობიაო. მე ვუპასუხე: მდგომარეობა საბედისწერო გამოდგა და იგიც იძულებული გახდა აზრი შეეცვალა. თანხმობის ნიშნათ მან თავი დააქნია.

მალე დავიდი გამშორდა და ედუარდ ბერნშტეინთან დავიწყე სიარული. [...]თა შორის, მან დამათვალიერებია [...]სტაგის სამკითხველო, დეპუტატებ[...] სადილო, ბიბლიოთეკა და ფრაქ[...] ოთახები.

რეიხსტაგი გრანდიოზული და ს[...] შოთ მოწყობილი შენობაა. იგი სა[...] ვო სტილით არის აშენებული. ჩემი გაკვირვება გამოვსთქვი და ვუ[...] საუცხოვო შენობაა თქო, მან ჩ[...] თავი გადმოხარა და ნელის ხმით [...] ხრა: საფრანგეთის ფულებით არის [...] ნებულიო. საფრანგეთს რომ 1871 [...] ხუთი მილიარდი მარკა კონტრიბუ[...] გადაახდევიეს გერმანელებმა, იმ ფ[...] ბის ერთი ნაწილი რეიხსტაგის შ[...] ზე დაიხარჯაო. მოკლეთ ვუთხარ[...] მაინც არ მიშლის, რომ ვთქვა, [...] სტაგის შენობა საუცხოვოაო.

ედ. ბერნშტეინმა დამინიშნა დრ[...] როდის უნდა გამეკეთებია დამოუ[...] ბელთა ფრაქციაში მოხსენება.

დაიწყო რეიხსტაგის სხდომა და [...] დემანის მიერ მოცემულ შესასვ[...] ბილეთით შევედი დარბაზში. იქ[...] სასურსათო საკითხი და პარლამე[...] წევრების უმრავლესობა უკმაყოფ[...] იყო მთავრობის მიერ სასურსათო [...] მის მოწყობით.

მეორე დღეს დანიშნულ დროს [...] დემანის ანუ დამოუკიდებელ ფრა[...] ში წაველ მოხსენების გასაკე[...] ლათ. ფრაქციის კრებაზე დე[...] ტებს მრავლათ მოეყარათ თავი. მ[...] დავათ ამისა შეიდემანმა მაინც ბ[...] ში მოიხადა, რომ ფრაქციის ყველა [...] რები არ არიანო, ვინაიდან ახლა [...] დასხვა კომისიებში საჩქარო საკით[...] გასარჩევი და იქ იღებენ მონაწი[...] ბასო.

გავაკეთე მოხსენება. ყველა გუ[...] მით მისმენდა. მოხსენების შემდეგ [...] ლოდ რამდენიმე სიტყვა დავიდმა სთ[...] მან მოკლედ შემდეგი აზრი გამოსთ[...] ჩვენ თქვენს დამოუკიდებლობას ვემ[...] ბით და მხარს დავუჭერთ, მაგრამ პ[...] ტიკული შედეგების გვეშინიაო. ვა[...] ბალშევიკურმა მთავრობამ ეს შინ[...] საქმეში ჩარევათ ჩამოგვართვის დ[...] ნიადაგზე ჩვენსა და რუსეთს შ[...] კვლავ განხეთქილება მოხდესო. ჩვენ[...] არ გვინდა, ამას ვერიდებითო. [...] ზავი ჩამოვარდა,—სისხლის ღვრა

სიას არ შეუძლია აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ საქმეში, რადგანაც ფორმალურად ომი სწარმოებს ბაქოს და დამოუკიდებელ ადერბეიჯანის შორის, რომლის შინაურ საქმეში ჩარევა გერმანიას შეუძლებლად მიაჩნია. როგორც არ უნდა გადაწყდეს ბაქოს საკითხი ეს დროებით იქნება. საბოლოოთ ბაქოს ბედი სტამბოლის საზავო კონფერენციაზე გადაწყდებაო, განაცხადა პროფესორმა ცუგმაიერმა.

◆ **ჯავშნიანი მატარებელი № 1.** 4 სექტემბერს საღამოს 9 საათზე ჯავშნ. მატ. № 1 თფილისიდან ყარაიაზში გაიგზავნა. სადგ. კარაჯალაში შესვლისას გაქანებული მატარებელი გადასცდა ლიანდაგს, ამის მიზეზი როგორც საგანგებო კომისიამ გამოარკვია, ყოფილა ამავე სადგურის გამგე, რომელიც ამ დროს მორიგეობდა, მძიმედ დაშავდა ჯავშნ. სახალხო გვარდიელები: ი. ყარ. დოლიძე, ძმასთან სტუმრად მოსული გაბისონია. მსუბუქად: ანტ. ხუნდაძე და მემანქანე რურუა. ჯავშნიანი საგრძნობლად დაზიანებულია. დაჭრილები მოთავსებული არიან 41 ლაზარეთში.

◆ **გერმანული ენის შესასწავლი კურსები.** სომხურ-გერმანული საზოგადოება 20 სექტემბრიდან ხსნის გერმანულ ენის კურსებს.

◆ **შინაგან საქმეთა სამინისტროს** გენ. მაყაშვილი ატყობინებს ბაკურიანიდან, ოსმალოებმა ბაკურიანის ოლქი გადმოლახეს და არ უშვებენ ადგილობრივ მცხოვრებთ ჭირნახულის შესაგროვებლადო, შინაგან საქმეთა მინისტრმა ამ საქმის მოგვარება მიანდო გარეშე საქმეთა სამინისტროს.

◆ **ქურდობა** 6 სექტემბერს ეროვნულ დემოკრატების ფრაქციის ოთახში სახალხო გვარდიელებმა დაატუსაღეს სტუდენტი ვეშაპიძე, რომელსაც მოასწრეს ფარდების ქურდობის დროს.

◆ **დატუსაღება.** მე 7 კომისარიატის კომისარმა დაატუსაღა: არჩილ ტურკაძე, შაქრო მგალობლიშვილი, ალექსი პაპაშვილი, შაქრო სიხარულიშვილი, დაცემისა და ქურდობისათვის.

◆ **ქართულ სატეხნიკო საზოგადოებაში.** კვირას, 15 სექტემბერს დილის 11 საათზე ფრეილინის ქუჩა № 11 დანიშნულია ქართულ სატეხნიკო საზოგადოების წლიური კრება, რომელზედაც განხილული იქნება საბჭოს ანგარიში.

◆ **კრება.** კვირას, დილის 11 საათზე „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაში დანიშნულია მწერალ-ხელოვანთა სოციალ-დემოკრატიული პარტიის თანამგრძნობთა კრება, მხატვრულ ჟურნალის გამოცემის შესახებ მოსალაპარაკებლად.

◆ **ხოლერა.** უკანასკნელ დღეებში ქალაქის საავადმყოფოში მოიყვანეს 10 ხოლერიანი და ერთი საეჭვო ავადმყოფი. საეჭვოდან სახოლერო განყოფილებაში გადაიყვანეს 4. მორჩა და გამოეწერა 2. მოკვდა 2 ხოლერიანი და ერთი საეჭვო. 5 სექტემბერს საავადმყოფოში იყო 88 ხოლერიანი და 20 საეჭვო ავადმყოფი.

◆ **რაჭა-ლეჩხუმის ჯგუფი** აუწყებს საზოგადოებას, რომ 8 სექტემბერს დილის 10 საათზე შუშტაიდის კლუბში დანიშნულია კრება. დაბეჯითებით სთხოვენ დაესწრონ მათ, ვინც ამ ჯგუფის მიზნებს იზიარებენ ან თანაუგრძნობს მას.

◆ ტარასი ფარჯანაძემ თავისი რძლის ელპიტი ფარჯანაძის ხსოვნის აღსანიშნავათ ოთხი თვით ჩვენი გაზეთი გაუწერა ს. ჭრებალოს სამკითხველოს.

# ჩრდილო-კავკასიის ამბები

20 აგვისტომდე ქალაქ გროზნაში შედარებით მშვიდობიანობა იყო. 22 აგვისტოს ღამის 3 საათზე სოფელ გროზნენსკაის მოულოდნელათ ალყა შემოარტყეს წითელ არმიელებმა. სანგრები სოფლის გარშემო არმიელებმა დაიკავეს და წარუდგინეს ულტიმატუმი ყაზახებს დაუბრკოლებლივ ჩაებარებინათ იარაღი. ყაზახებს უნდოდათ დროთი ესარგებლათ და სთხოვეს წითელ არმიელებს ულტიმატუმის ვადა გაეგრძელებინათ დილის 9 საათამდე. არ მიიღეს რა 9 ნახ. საათზე არმიელებმა არავითარი პასუხი, დაუშინეს ყაზახებს ყუმბარები, აამუშავეს ტყვიის-მფრქვეველები. გაჩნდა ცეცხლი, დაიწვა გროზნის შენობები. გადაიწვა სასტუმრო „გრანდ ოტელი“ და „ფრანცია“. ყაზახები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდენ წითელ არმიელებს. და დიდი ზიანიც მიაყენეს. ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა არმიელების მხრივ ჯავშნიანი მატარებელი, რომელიც შეიჭრა ქალაქის სადგურში. ყაზახებმა მას ორთქლმავალი რამდენიმე ვაგონებით მიაგებეს. მატარებლები ერთმანეთს დაეჯახნენ. რა მოხდა ამის შემდეგ, არავინ უწყის. მხოლოდ ჯავშნოსანი ჩაჩუმდა. წითელ არმიელებმა მიიტანეს ქალაქიდან იერიში ყაზახთა სტანიცა გროზნენსკზე, მაგრამ ვერ აიღეს. მაშინ განუცხადეს,—თუ არ დაგვნებდებით წყლის სადენ მილებს დავაზიანებთ და უწყლოთ დაგტოვებთო. ამაზე ყაზახებმა უპასუხეს, რომ თუ ისინი თავიანთ მუქარას სასრულში მოიყვანენ, მაშინ ყაზახები დაანგრევენ ზარბაზნების ყუმბარებით ქალ. გროზნის წყლის ონკანის კოშკს და ამით მთელ მცხოვრებლებს უწყლოთ დასტოვებენ. ბრძოლამ ხანგრძლივი ხასიათი მიიღო: 1 სექტ. მდგომარეობა ასეთი იყო: ყაზახებს უკავიათ სადგური, სადგურის რაიონი, მორდოვცევის წისქვილი, გროზნის მახლობლათ სოფელი და მუშათა რაიონი, მუშების მომეტებული ნაწილი სამოქალაქო ომში მონაწილეობას არ იღებს. ყაზახებმა განაცხადეს, რომ ისინი მუშათა შინაურ საქმეებში არ ჩაერევიან. ყველა პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები ხელუხლებელია. ქალაქი ბოლშევიკების ხელშია. ყაზახები სათბობ მასალას არ უშვებენ ქალაქში. ნავთი ქალაქში გირვანქა 2 მ. 50 კ. ღირს.

ქალაქში დაიწყო ძარცვა-რბევა, მაგრამ როდესაც 15 წითელ არმიელთაგანი დახვრიტეს, წესიერება დამყარდა.

ჩეჩნები ორ მოწინააღმდეგე ჯგუფათ გაიყვენენ. ერთი ნაწილი ემხრობა საბჭოთა მთავრობას, მეორე კი ყაზახებს უჭერს მხარს.

27 აგვისტოს „სტანიცა“ ზმისკიან, რომელიც დაშორებულია კავკავიდან 60 ვერსით ყაზახებმა მოჰკლეს თერგის ოლქის საბჭოთა ყოფილი თავმჯდომარე პაშკოვსკი (მემარცხენე ს. რ.). მასთანვე ერთად დახვრიტეს კისლოვოდსკის საბჭოს თავმჯდომარე დ. ტულიპევი, რკინის გზის კომისარი დოლობკო, რამდენიმე დეპუტატი სახალხო ყრილობისა.

# ბორჯომის მამული

**ბორჯომის მამულის ისტორიული მოკლე ცნობა.**

(გაგრძელება)

„ბორჯომის მამულის ტყეს, წინეთ იმდენად ჰქონდა ფასი, როგორც ტყის სამრეწველო კუთხეს, რამდენად ეგ იძლეოდა ბორჯომის წყლის ექსპორტისათვის საჭირო ყუთების მასალას და აქ იქ თვით მამულისათვის საჭირო საამშენებლო ფიცარს თუ სხვა მასალას. მაგრამ ამ შეხედულებამ თანდათან დაჰკარგა ნიადაგი და ამ ბოლო დროს ბორჯომის მამულის ტყის მრეწველობის საკითხი მთელის თავის სიდიდით, წინ წარმოსდგა და თანდათანობით ყველასათვის ცხადათ დიდ მნიშვნელოვან საკითხათ გახდა, რადგან ჩვენი ქვეყნის ბოლო ხანებში გადიდებული ბაზრის დასაკმაყოფილებლად არ კმაროდა ის მცირე ტყე თავისი მეტად პრიმიტიული და სუსტი მრეწველობით, რომელიც სხვაგან მდებარეობდა. მეორეს მხრივ თვით მამულისათვის სარგებლიან საქმედ გამოდგა. თუ ეს საკითხი დიდ მნიშვნელოვანი იყო ამ რამოდენიმე წლის წინეთ, დღეს ამასთან ერთად ისიც ცხადი უნდა იყვეს, რომ სასოფლო-სამეურნეო და მასთან ერთად სატყეო მრეწველობა აკვანია მრეწველობის სხვა დარგებისა და თუ ეს არ იქმნა მტკიცე ნიადაგზე დაყენებული, ვერც სხვა გვარი მრეწველობა იხარებს ჩვენში.

ამ მხრივ ბორჯომის მამულის ტყის მრეწველობა, ყოველივე ბუნებრივის პირობებით ხელშეწყობილი წარმოების გასადიდ გასაფართოვებლათ უდიდესი სახელმწიფო მნიშვნელობის საქმედ და საკითხად უნდა ჩაითვალოს. ამასთან ერთად ბორჯომის მამული თავისი საუცხო, კულტურულად მოწყობილი მეურნეობით სამაგალითო და აღმზრდელი უნდა იყვეს იმ კუთხისათვის, სადაც ის მდებარეობს. ბორჯომის მამულმა უნდა შეაყვაროს ტყე და აგრძნობინოს ტყის უდიდესი მნიშვნელობა არა მარტო ბორჯომის მიდამოებში დასახლებულ ქართველებს, არამედ მთელს ერს.

თუ ჩვენ ბორჯომის წყლის ექსპორტს მივიყვანთ იმ მაქსიმუმამდის, რომელიც შესაძლოა ე. ი. 20,000,000 ცალ ბოთლამდის, მაშინ ჩვენთვის საჭირო იქნება 400,000 ცალი ყუთი, ამისათვის კი საჭირო იქმნება ყოველ წლიურად 800,000 კუბ. ფუტი ხე. ბორჯომის მამულს კი 2 ნახ. მილ. კუბ. ფუტის ხის მოცემა შეუძლია ისე, რომ მამულს არა დაჩნდება რა და მისი ტყის პოტენციალიც მუდამ უცვლელი იქნება. ამ რიგად მთელი იმ ტყის ერთი მესამედი, რომელიც ჩვენ მამულიდან შეგვიძლია წლიურად ავილოთ იხარჯება მამულის ერთ უდიდეს საწარმოო დარგისათვის—ბორჯომის წყლის ექსპორტისათვის. აქედან ჩვენ უნდა დავასკვნათ ის, რომ ბორჯომის მამულის ტყის მრეწველობა სულ ცალკე დარგს შეადგენს და დიდი შეცდომა იყო, როცა მას ბორჯომის წყლის ექსპორტს უქვემდებარებდნენ. ამასთან ერთად ყოველივე ხელს უწყობს ბორჯომის ტყის მრეწველობის გაღრმავება გაფართოებას. საუცხოვო ტრანსპორტი უფასო მტკვრის და რკინის გზების სახით. მტკვარი შუა მამულში გადის და მისი სიდიდე სიგრძით მამულის ფარგლებში 26 ვერს უდრის ეს საუკეთესო გზა ნედლი დაუმზადებელი მასალის თბილისისაკენ გასაზიდათ. ხოლო რკინის გზის ლიანდაგი საშვალებას მოგვცემს ყოველ კუთხეს მივსწვდეთ ჩვენის შემზადებულის მასალით. ამასთან ჩვენ თუ არ დაგვეკარგება იმედი ახალციხის მაზრის დაბრუნებისა, მთელი მისი ტყეც ბორჯომს ვერ ასცილდება, თუ კი აქ ტყის მრეწველობა ფართო ფესვებს გაიდგამს. ჯერ ჯერობით კი ამ მამულში ორი ტყის სახერხი ქარხანაა: ბორჯომის და სუმბათოვისა. განსაკუთრებულ ყურადღებას კი ბორჯომის ქარხანა იპყრობს და კიდევაც იმ რიგად არის მოწყობილი, რომ მთელი წლიური ტყე, რომლის მოცემაც ბორჯომის მამულს შეუძლია, არ ყოფნის მას დასამუშავებლად. სუმბათოვის ქარხანაში კი მამულის ტყის ის ნაწილი, რომლის გადმოზიდვა ბუნების უხერხულობის გამო ბორჯომში უხერხულია. ეს ქარხნები უმთავრესად ამზადებენ ბორჯომის წყლის ექსპორტისათვის საჭირო ყუთებს და სხვა ხის საშენებელ მასალას. ამას გარდა ბორჯომის ქარხანას აქვს ორი განყოფილება: რახის-ხუშერო შესახვევ-ჩასალაგებელ ხუშეროს დასამზადებლად (ბორჯომის წყლის ბოთლების ჩასაწყობად, ხილის ჩასალაგებლად და სხვა) და ორი საკასრე ფიცრების გასაკეთებელი. ეს განყოფილება სრულიად მოწყობილია, მაგრამ არ იყო ამუშავებული მამოძრავებელი ენერგიის უქონლობის გამო, რაკი უვარგისი ხის მასალა და ხე, ნახერხი და სხვა ჯირკვები ბევრი იყო, რომლითაც შეიძლებოდა ორთქლით მომუშავე მანქანის ამუშავება, ამიტომ ის ელექტროს მოტორი, რომელიც წინათ იყო უფრო დიდ ძალოვან მანქანაზე უნდა გაცვლილიყო. დღეს დღეობით ამ მანქანების გამართვა თითქმის მოთავებულია და ამ მოკლე ხანში ეს განყოფილება დაიწყებს მუშაობას უფრო დიდის მაწარმოებლის ძალით, ვიდრე წინეთ. ამ განყოფილების მნიშვნელობა უფრო ცხადია ჩვენთვის თუ კი მოვიგონებთ, რომ ამას ჩვენში დიდი ბაზარი აქვს და რუსეთსაც საზღვარ გარეთიდან შემოჰქონდა თავისთვის საჭირო კასრები.

ამავე ქარხანასთან ამ ოთხი წლის წინათ დაუწყიათ სარეზონანსო მასალების მზადება, რომელიც მდგომარეობს მუსიკალურ ინსტრუმენტებისათვის საჭირო ერდოების განსაკუთრებულ ჯიშის ნაძვის ხის ფიცრების მზადებაში. ეს ნაძვი ბორჯომში საკმარისად ბევრია, ხოლო მიღებულ უნდა იქნას ზომები ეს ჯიში ნაძვისა დაცულ იქნას გლეხებისაგან, რომელნიც ძლიერ სდევნიან მათ, როგორც საუკეთესო საყავრე მასალას. ამ მასალასაც მხოლოდ საზღვარ-გარეთი იძლევა და ამიტომ ჩვენში მისი წარმოება, ორკეცად მნიშვნელოვანი იქნება. ამათ გარდა ბორჯომის მამულში მზადდება ყოველ წლიურად 1000 ფუთი ბელეკონის ნაწვეთი (სკიპიდარი) და 4000 ფუთი კანიფოლი. ეს მით უფრო ხელსაყრელია, რომ ამ წარმოებისათვის დაზიანებული ტყეც გამოსადეგია და ისედაც ტყე არ ფუჭდება წვეთის გამორთმევით. აი ამითაც შეგვიძლია უცხო ქვეყნებს გვერდი აუხვიოთ.

ახალი და ახალი ტყის წარმოების დარგის შემოღება ბორჯომის მამულში დამოკიდებულია ტყის გვარზე და ჯიშთა სიმრავლე, სიდიდეზე. ბორჯომის მამულში კი უმთავრესათ იზრდება ფიჭვი, ნაძვი, ხოჭი და წიფელი. ეს უკანასკნელი მიუხედავათ მისი სიმრავლისა თითქმის სრულიად არ შეადგენს ექსპლუატაციის საგანს და მხოლოდ და მხოლოდ შეშად ხმარობენ. წიფელი კი ბევრს სხვადასხვა მასალას მოგვცემდა. წიფლის კასრები ღვინო, კარაქი და სხვა მინერალურ ზეთისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. საკასრე ქარხანა მზათ არის და შეიძლებოდა მოწყობა წარმოების ამ დარგის.

ხის მშრალად გამოხდა, სხვა დარგზე ანა ნაკლებად მნიშვნელოვანი იქნებოდა, რადგან არ არის ჩვენში სხვა კუთხე, საიდანაც ჩვენ ხის სპირტის, კრეოზოტის და სხვა მედიცინაში საჭირო ნივთების მიღება შეგვეძლოს. ამ მიზნისათვის საჭირო საშუალო ზომის ქარხანის მოწყობა წინეთ დაჯდებოდა 70,000 მანეთი. სიძნელეს არც ეხლა წარმოადგენს მისი გამართვა, რადგან უცხოეთით არაფერი გვექნება შემოსაზიდი, ვინაიდან აქ საქართველოში შევსძლებთ ვიპოვოთ რაც საჭიროა მის გასამართათ.

ბორჯომის მამულს თამამად და დიდის წარმატებით შეუძლიან გახსნას დაბალ ხარისხის სამზადებელი ქარხანა. და ამ მიზნისათვის მოახმაროს ის ნაყარი ტყე, რომელიც დღეს უქმად ლპება და ქრება. გარდა ხისა, რომელიც 75 პროც. იქნება შესახვევ ქაღალდში, საჭირო კანიკოლი, სოდა და სხვა ქაღალდის სამზადებელი მასალები აქვე შეგვიძლიან ურიცხვათ ვიშოვოთ. კანიკოლს თვით მამული ამზადებს. წიფლის გარდა ქაღალდი შეგვეძლო დაგვემზადებინა—ხოჭი და ნაძვისაგან.

არა ნაკლები მნიშვნელობა ექნებოდა ნაკერჩხლის შაქრის მზადებას, მეტადრე შაქრის კრიზისის მოლოდინში. წარმოების ეს დარგი მამულში უკვე ნაცადია და საუკეთესო შედეგებიც მიუღიათ. ხოლო დღეს დღეობით საჭიროა წარმოების მოწყობა და მოგვარება.

ამათ გარდა საჭიროა და შესაძლოა შემდეგი წვრიმანი წარმოებათა შემოღება; ფეხსაცმლის ხის ლურსმნების ნაკერჩხლისაგან, წუმწუმის ღეროები ვერხის და ხოჭის ხისაგან, კალა ქვის ხის ნაცრისაგან, წიფლის ზეთი, მირკაელისაგან და სხვა.

(შემდეგი იქნება)

# ეგნატე ჯიბლაძე

თვალები ცრემლებით გვევსება ადამიანს, როდესაც ასეთი განსაცდელის დროს, რასაც განიცდის ჩვენი სამშობლო, ხელიდან გვეცლება ისეთი საუკეთესო მებრძოლი, როგორიც იყო ამხ. ეგნატე ჯიბლაძე.

აღარა გვყავს ჩვენი საუკეთესო გვარდიელი, ჩუმი, უწყინარი, დაუღალავი პარტიული მუშაკი ეგნატე.

ჩვენ ვეღარ ვიხილავთ მის სპეტაკ, ლმობიერ, სათნოებით აღსავსე სახეს! ვეღარ გავიგონებთ მის ტკბილ ამხანაგურ დარიგებას. საშინელმა სენმა, ხოლერამ მგზავრობის დროს სადგურ სამტრედიაში სამუდამოთ ჩამოგვაშორა ისეთ ძველ პარტიულ მუშაკს, რომელიც მაგალითის მაჩვენებელი იყო მთელი დანარჩენი ამხანაგებისათვის.

ხაშურის ამხანაგებმა ეგნატეს სახით დაჰკარგეს ერთი უძვირფასესი საიმედო ამხანაგი, რომლის ხსოვნაც მათ ცივ სამარის კარამდე მიჰყვება.

ვასილ ზაქარეიშვილი.

## სტუდ. ვასო სიდ. ძე ურუშაძე.

კუბო კუბოს მისდევს და გვეცლება ხელიდან ჯანღონით სავსე მუშათა კლასისთვის თავდადებული მებრძოლი ამხანაგები... თავზარდამცემი იყო ჩვენთვის, ლანჩხუთელ ამხანაგებისთვის ცნობა, რომ ვასო გარდაიცვალაო. ვასომ წელს დაამთავრა მიხაილოვის სავაჟო გიმნაზია. ეხლა კი ჯარში მსახურებდა. უწყინარი, ჩუმი მომუშავე, სპეტაკი ზნეობის მქონე ვასო, პატიოსნება-გულწრფელობის და უანგარო-უმანკო მოღვაწის განსახიერება იყო. რეაქციის დროს მარქსისტ მოწაფეთა ორგანიზაციაში ის ერთი საიმედო მოწინავე ამხანაგათ ითვლებოდა და მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა ხელნაწერ ჟურნალის გამოცემაში და სხვა პრაქტიკულ მუშაობაში. ასეთივე მხნე, მუშაობის მოყვარული დარჩა ამხ. ვასო შემდეგშიაც. რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე ის ხალისით და ახალ-გაზრდული აღფრთოვანებით შეუდგა მოწინ. ამხ. ერთად საერთო საქმის კეთებას. საქმისადმი სიყვარულით და დაკვირვებული მუშაობით მან ამხანაგების საერთო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად ამხ. ვასო თეორეტიულ მხარესაც არ ივიწყებდა, თვითგანვითარებას ეწაფებოდა. ვასო, ახალ-გაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების ერთი დამაარსებელ ხელმძღვანელთაგანი იყო.

ხალისით და აღფრთოვანებით ეწერება იმ მიხაილოვის წითელ-გვარდიაში, ვასო აქაც ჩვეულებრივი მუყაითობით და ენერგიით ეწევა მუშაობას და ღებულობს მიხაილოვის გვარდიასთან ერთად მონაწილეობას ბრბოების საწინააღმდეგო ბრძოლაში.

შემდეგ გურიაში ბრუნდება და კვლავ ჯარში ეწერება, სადაც ის საყოველთაო სიყვარულს და ნდობას იმსახურებს.

განა მოველოდით, რომ ჯანმთელი, 20—21 წლის ახალგაზრდა ვასიას სიცოცხლე ასე ხან მოკლე იქნებოდა?!

შვიდობით ძვირფასო ამხანაგო და მეგობარო ვასია! შენ არ მომკვდარხარ იმათთვის, ვინც შენ გიცნობდა და ვინც შენთან ერთად ეწეოდა ხალხის სამსახურს, საერთო მუშაობას...

შენი მეგობარი გიორგი მგელაძე

# საად.-მამულო რეფორმა

(მიწათ-მოქმედების სამინისტროს ცნობები):

აგრარულ რეფორმის გატარება დაიწყო მარტის ბოლო რიცხვებში. მთავარი ყურადღება მიქცეული იყო თფილისის გუბერნიაზე. ამ დროს მთელი თფილისის გუბერნიის გარეშემო შინ და გარეთ ბრძოლის და ანარქიის ცეცხლი იყო გაჩაღებული და შეუძლებელი იყო მუშაობა.

ქუთაისის გუბ. აგრარულ რეფორმის გატარება შეაფერხა გამეფებულმა ანარქიამ და სხვადასხვა მაზრებში მასსიურად გამოსვლებმა და აჯანყებებმა, როგორიც იყო საჩხერის, ლეჩხუმის და სხვაგან,—უმეტესად-კი ოსეთისკენ.

ბორჩალოს მაზრა აუღებელ ციხედ გადაიქცა. ადგილობრივ მუსულმანთა, აღალართა და ასკერთა მასაში ქადაგებამ გასჭრა. ხალხი უარყოფით შეხვდა მიწის ახალ კანონს და მიმღებ კომისიას მუქარა და დევნა დაუწყეს. ისინი გაიძახოდენ, რომ სულ მალე მოვა ნამდვილი ბატონ პატრონი ამ მიწებისა და ის დაურიგებს ყველას თავის კუთვნილ მიწას. ბოლო ხანებში ამ მაზრის ბრძოლის ასპარეზად გადაქცევამ შეუძლებელი გახადა სრულიად რეფორმის გატარება.

დღეს კი სურათი არსებითად შეიცვალა. ახალ ბატონებმა არა თუ მიწები დაურიგა მშრომელ მუშა-გლეხებს, არამედ რაც ებადათ ისიც წაართვეს და ჩამორთმეული მიწები ზოგი სახელმწიფოს სრულ კუთვნილებად გამოაცხადეს და დანარჩენი კი ბეგ-აღალარებს მიაკუთვნეს.

ახლა საადგილ-მამულო კომიტეტები ერთად ერთი ორგანოა, რომელიც იცავს გლეხთა ინტერესებს. ხალხი თხოულობს კომისიებს და მიწების წესიერად და კანონის მიხედვით განსაზღვრას.

სამინისტრომ ამ მდგომარეობას და გლეხების თხოვნას ანგარიში გაუწია და უკვე გაგზავნა ერთი [illegible] რომელიც კარგა [illegible] ინიშნება [illegible] ლები კომისია, ტყეების, კულტურულ და საბალახო მამულების სახელმწიფო ფონდში ჩასარიცხად.

თფილისის მაზრაში, სართიჭალის რაიონში მიღებულია 20,000 დღ. მიწა, ყარაიაზის, ბელიკლიუჩის, ქალაქის ახლო მახლო ადგილებში და ასურეთის რაიონში მუშაობა თავდება,—ასე რომ, თფილისის მაზრაში აგრარულ რეფორმის გატარება თითქმის დასრულებულად უნდა ჩაითვალოს.

ამ რაიონებში გლეხობა კმაყოფილია და თხოულობენ მიწების სრულ საკუთრებად გადაცემას, იმ ზედმეტ საფასურის გადახდით, რაიც გამოიწვია მიმღებ კომისიის ერთი ადგილიდან მეორეში გადასვლამ და სხვა.

რაც შეეხება გორის მაზრას, იქ მუშაობს 9 მიმღები კომისია. ეს კომისიები ოქტომბრის ბოლო რიცხვებში დაასრულებენ მუშაობას. თუ ძალები საკმაო არ გამოდგა, განზრახულია გაიგზავნოს დამხმარე კომისიები.

თიანეთის მაზრაში მხოლოდ ორი კვირის სამუშაო დარჩა. იქ მუშაობს 2 მიმღები კომისია.

თელავისა და სიღნაღის მაზრებში მუშაობა სულ მოკლე ხანში დამთავრდება. აღსანიშნავია, რომ ამ მაზრებში ბევრი შეძლებული მემამულეა.

დუშეთის მაზრაში ბალშევიკების გამოსვლებმა მუშაობა საკმაოდ შეაფერხა. სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტის შენობა გაანადგურეს, მიმღებ კომისიის წევრები ამოხოცეს და დროებით მუშაობაც შესწყდა. ახლა, როცა ბალშევიკებს ბოლო მოუღეს და ყოველგვარ კულტურულ და სხვაგვარ მოქმედების დაწყება შესაძლებელი გახდა,—გაიგზავნა და მუშაობს 3 მიმღები კომისია—მცხეთის, საგურამოსი და მუხრანის რაიონებში. სამაზრო საადგილ მამულო კომიტეტი მცხეთაში გადავიდა, სადაც მოწვეულია გლეხთა ყრილობა, რომელიც გადასწყვეტს, როგორც ადგილს საადგილ-მამულო მუდმივ მდებარეობას, აგრეთვე შემადგენლობ განახლებას.

რაც შეეხება ქუთაისის გუბერნიაში აგრარულ რეფორმის გატარებას, შემდეგ მდგომარეობაშია.

მუშაობა ქუთაისის, შორაპნის, ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის, ლეჩხუმის მაზრებში დაწყებული იყო, მხოლოდ ანარქიის გამო მუშაობა დროებით შესწყდა.

დღეს, როგორც ცნობა მოვიდა, რაჭა ლეჩხუმი ბრბოებისაგან გაიწმინდა და წინადადება მიეცა ქუთაისის საადგილ-მამულო კომიტეტებს გაგზავნოს მიმღები კომისიები ამ მაზრებში. თუ სადმე რაიმე მიზეზების გამო მუშაობა ენერგიულად ვერ სწარმოებს—უნდა აცნობონ სამინისტროს დამხმარე ძალების მისაშველად.

რაც შეეხება მიზეზებს, რომელიც აბრკოლებენ ინტენსიურ და ნორმალურ მუშაობას იყო შემდეგი: გუბერნია თითონ დაუზომავი არის, უმრავლეს შემთხვევებში კომისიებს უხდება ხელახლა მათი დაზომვა და გამიჯვნა, რაიცა აფერხებს და აგვიანებს მუშაობის დასრულებას.

მეორე მხრით,—მიწები წვრილ-წვრილ ნაკვეთებათ არის და მათი ცნობაში მოყვანა კომისიებს ბევრ დროს აკარგვინებს.

გარდა ამისა, სადავო მიწების ნაჭრებიც ბევრია. უმეტესობას ფაქტიური საბუთები აქვს მიწების კუთვნილებაზე და კომისია ამ საბუთების აღნუსხვას და სათანადოთ გამორკვევას ბევრ დროს ანდომებს.

აღსანიშნავია, რომ სოფლად მეტად სძირს ერთი ადგილიდან მეორეში გადასვლა, ცხენები ან ეტლები სრულიად არ მოიძებნება, თუ კი როგორმე იშოვნი—ზღაპრულ ფასებს თხოულობენ, კომისიებს კი საშუალება არა აქვს ამ ხარჯების გადახდის და ამიტომ უმეტეს შემთხვევაში უხდებათ მთა-ხრიოკ გორებზე ფეხით სიარული.

ხელს უშლის აგრეთვე ადმინისტრატიული ორგანოების უქონლობა. ამიტომ კომისიები თავისად უნდა დაემყარონ ამ რთულ, მათზე ნაკისრ მოვალეობის ასრულების დროს.

თუ რაიმე გარეშე, დამაბრკოლებელი ძალა არ გადაელობა სამინისტროს, ლეჩხუმის მაზრის გარდა ზამთრის პირად, შემოდგომაზე მუშაობა ყველგან დასრულდება.

სოხუმის ოლქში საადგილ მამულო კომიტეტები უკვე დაარსდა... მას შემდეგ, რაც გენ. მაზნიაშვილმა ოლქი გასწმინდა, კომიტეტი შეუდგება ცნობების რაოდენობის გამორკვევას, ადგილების დამიჯვნას და სხვა.

აზრად აქვთ, როდესაც გამოიცემა მიწების დებულება სოხუმის ოლქში მიწების კონფისკაციის შესახებ, განსაკუთრებულ პირობების გამო, შეიტანონ ბევრი ცვლილებები.

სოხუმის ოლქში არის კომისია, რომელიც ზოგიერთ ადგილებში მოქმედობს, მაგალითად იბარებს გაგრის მამულს.

ოლქში გაიგზავნა ყოველივე მას

---

არის და ჩვენმა ფრაქციებმა, რომ მთავრობას საქართველოს დამოუკიდებლობის საქმეში მხარი დაუჭიროს, იმპერიალისტობაში ჩამოგვართმევენ და ჩვენს და რუსეთს შორის საქმე გართულდებაო.

კამათი არ გამართულა, მხოლოდ დავიდმა გამოსთქვა მოკლეთ თავისი შეხედულება. ის კითხვის პრაქტიკულ მხარეს ეხებოდა და ამ მოსაზრებიდან გამოდიოდა. როგორც ვსთქვი, სხვა დეპუტატებს კამათში მონაწილეობა არ მიუღიათ, მათ ერთმანეთში გამართეს მოლაპარაკება. ეტყობოდა, ფრაქციამ ერთხმად მოიწონა ჩვენი პოზიცია და ეს დავიდის პირით რეიხსტაგის საგანგებო კრებაზე იქნა განცხადებული.

დამოკიდებულ ფრაქციიდან წასვლის შემდეგ ვინახულე ჰააზეს ანუ დამოუკიდებელთა ფრაქციის წევრები. ვიდრე მე მათ ვინახულებდი ედ. ბერნშტეინს უკვე ყველასათვის გაეცნო საქმის ვითარება. ასე რომ, ნიადაგი მომზადებული იყო [illegible]რებას ლედებურიც დაესწრო. ბერნშტეინთან პირველი შეხვედრის დროს თუ [illegible]ონი ანჩხლობდა, ახლა აქ იგი ჩუმათ [illegible]ჯდა და მის მაგივრობას ლედებური [illegible]წეოდა ლედებური უფრო გაწიწმატებით მეკამათებოდა. ისიც უმთავრესად საქართველოს დამოუკიდებლობის მხრის [illegible]აქერის შესახებ კი არა, არამედ [illegible]ენსა და ბალშევიკებს შორის დამოკიდებულებაზე. აქაც იგივე გან[illegible]ორდა, რაც ჩემსა და კონს შორის [illegible]ოლოდ იმ განსხვავებით, რომ ლედებური უფრო ამართლებდა ბალშევიკებს. [illegible] კამათს უფრო კერძო ხასიათი ჰქონ[illegible] და ერთმანეთს, ბევრ რასმე ვეუბნე[illegible]ოდით. აქაც გავიმეორე ის აზრი ბალშევიკების შესახებ, რაც კონს ვუთხარი. [illegible]და ამისა, მას შემდეგი საკითხი [illegible]უსვი: ნუ თუ გგონიათ თქვენ, რომ [illegible]ნი მარქსიზმის ნიადაგზე სდგანან? [illegible]აკვირვებულია, არაო, მიპასუხა მოკლეთ. [illegible]ტიც ვუთხარი:—არამც თუ მარქსიზ[illegible] ნიადაგს მოშორდენ, მასთან შო[illegible]ლი კავშირიც კი არა აქვთ და [illegible]ნდა წყლის ანარქისტები არიან [illegible]ქი. ალბათ, თანხმობის ნიშნად, გა[illegible]და და პასუხი არ გაუცია.

[illegible] ჩვენი [illegible]ემი მოხსენების დროს ჰააზე დაწვრი[illegible]ბით შენიშვნებს აკეთებდა, ყველა[illegible] ქაღალდზე ნიშნავდა მან ამ საბუთებით იხელმძღვანელა და რეიხსტაგის სხდომაზე გაბედულათ მხარი დაუჭირა ჩვენს დამოუკიდებლობას.

კრების გათავების შემდეგ მე და ედუარდ ბერნშტეინს მოგვიხდა ერთად გარეთ გამოსვლა. მე განვაგრძობდი ჩვენი მდგომარეობის შესახებ ლაპარაკს. ჩვენებურათ ქუჩაშიაც დავუწყე საუბარი, მაგრამ გერმანელებს ასეთი თვისება არ აქვთ. კრებაზე თუ სამუშაოზე საქმეზე უყვართ ლაპარაკი, როცა მას მოშორდება, იგი ისვენებს და ათას წვრილმან კითხვაზე უყვართ საუბარი. მაგრამ ზრდილობიანმა გერმანელმა თავისი ჩვეულება დაარღვია და ფრაქციაში დასმულ საკითხის შესახებ გარეთაც მელაპარაკებოდა, მაგრამ მე ზომას გადავაჭარბე და დავიწყე პოლიტიკურ საკითხებზე ლაპარაკი. ედ. ბერნშტეინმა ერთხელ სიტყვა ბანზე ამიგდო. რეიხსტაგის შენობიდანვე იწყება ცნობილი ბაღი „ტირგარტენი“, რომელიც რამდენიმე ათი ვერსის მანძილზეა გადაჭიმული. შემახედა იმ ბაღს და მითხრა: აი აქ ეს და ეს ხე უფრო უკეთესათ იხარებდა და ამ გარემოებას ბერლინის მაზები ყურადღებას არ აქცევენო. მე ვითომ არ გამიგონია და განვაგრძე სხვადასხვა კითხვებზე ლაპარაკი.

კვლავ რამოდენიმე ნაბიჯი წინ წავიწიეთ და მივედით ტრამვაის სადგურთან. აქაც ედ. ბერნშტეინმა საუბარის საგანი შესცვალა და სხვაზე მიაქცია ჩემი ყურადღება. მიმითითა ტრამვაის ერთ-ერთ ნომერზე და მითხრა: აი, ამ ნომრის ტრამვაი ხშირათ უნდა გამოუშვან, რომ განაპირა უბნის მცხოვრებთ საშვალება ჰქონდეთ ცენტრში მოვიდენ ხოლმე და დიდხანს არ უხდებოდეთ ცდაო. ახლა კი მივხვდი, რომ საუბარის საგანი უნდა გამომეცვლა. ამის შემდეგ სხვა და სხვა უმნიშვნელო საგნებზე ვისაუბრეთ, ვიდრე ერთმანეთს დავშორდებოდით.

ფრაქციებში მოხსენების ჯაკეთების შემდეგ დრო დავნიშნეთ გვენახა კაუცკი და სხვა ამხანაგები. ამ დროს კაუცკი უკვე ბერლინში დაბრუნებულიყო და დავნიშნეთ დრო, თუ როდის უნდა წავსულიყავით მასთან. კაუცკის ნახვა ორჯერ მოგვიხდა. ერთხელ მე ვნახე საკუთრათ და მეორეთ ევ. გეგეჭკორთან ერთად. ვინახულე აგრეთვე ლიბკნეხტის ოჯახობა,

ვლ. ახმეტელაშვილი.

...აც შეეხება აგრარულ რეფორმის ცხოვრებაში გატარებას, 7 მარტის კანონი, ველა გამოცემული ინსტრუქციები და ანონის განმარტებანი,—ე'ს ცნობები აიგზავნა თითქმის ყველა ენებზე დაბეჭდილი ცნობად და სახელმძღვანელოდ.

20 აგვისტოს მიღებული ცნობებით, ფილისის გუბერნიაში მიღებული მამულები შემდეგ ნაირად არის განაწილებული:

| | | | |
|---|---|---|---|
| თფ. მაზრაში მიღებულია | | 39.857 | დეს. |
| გორის | „ | 17.341 | „ |
| დუშეთის | „ | 6.030 | „ |
| თიანეთის | „ | 8.724 | „ |
| სიღნაღის | „ | 9.785 | „ |
| თელავ ს | „ | 16.073 | „ |
| | სულ . . | 97.812 | დეს. |

ქუთაისის გუბერნიაში:

| | | | |
|---|---|---|---|
| ქუთ. მაზრაშ მიღებულია: | | 3.408 | დეს. |
| შორაპნის | „ | 1.565 | „ |
| რაჭის | „ | 35 | „ |
| ოზურ. | „ | 10.382 | „ |
| ზუგდიდის | „ | 1.833 | „ |
| სენაკის | „ | 24.152 | „ |
| | სულ . . | 41.378 | „ |

ეს მიწის ფონდში მიღებული მამულებია, რომელიც მომავალში გლეხთა შორის უნდა განაწილდეს.

კანონ-პროექტი ჩამორთმეულ მიწების გლეხებზე სრულ საკუთრებად გადაცემის შესახებ უკვე დამზადებულია მთავრობაში შესატანად.

სამინისტრო იმ აზრისაა, რომ ჩამორთმეული მიწები სრულ საკუთრებად გადაეცეს მშრომელ გლეხობას იმ ხარჯების გადახდით, რომელსაც იწვევს თვით რეფორმის გატარება.

(„საქ. რესპ.“).

# ს.-დემ. პარტიაში

**თფ. სოც. დემ. კომიტეტის სხდომა.** 3 სექტემბერს მოხდა თფილისის კომიტეტის სოც.-დემ. მუშათა პარტიის კომიტეტის სხდომა. დაესწრო 10 წევრი. თავმჯდომარეობდა ამხ. კ. გვარჯალაძე. კრების გახსნისას მოხსენება გაკეთდა კალენიკე გოგიბერიძის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებზე. პარტიული წესდების თანახმად კომიტეტმა დაადგინა: „ვინაიდან კალენიკე გოგიბერიძის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება მეტად მძიმეა, რაც, თუ დამტკიცდა, დიდ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს, თფ. კომიტეტი მიდის იმ დასკვნამდე, რომ შეუძლებელია დარჩეს პარტიაში ისეთი წევრი, რომლის მოქმედებაც შელახავს პარტიის ზნეობრივ სისპეტაკეს და აყენებს მას პარტიიდან საქმის სრულ გამოძიებამდე“.

მეორე კითხვა შეიცავდა მდივნის მოხსენებას კომიტეტის და რაიონების ფინანსიური მხარის უსახსრობაზე და პარტიულ მუშაობის შესუსტებაზე ზოგიერთ რაიონებში. ამ კითხვებზე კომიტეტი საჭიროთ სცნობს, რომ 1) ვინაიდან ცხოვრება მეტის-მეტად გაძვირდა და პარტიას არავითარი შემოსავალი არა აქვს გარდა საწევრო გადასახადებისა, დღევანდელი გადასახადების ნორმა კი— 40 კაპეიკი თვიური თითო წევრზე, არამც თუ ფარავს ზოგიერთი რაიონების ხარჯებს, არამედ—თხოულობს ამ რაიონებისათვის დახმარებას კომიტეტიდან და ამ უკანასკნელის სახსრებს მხოლოდ რაიონები შეადგენენ—გადიდდეს ქ. თფილისში ამა წლის პირველ სექტემბრიდან საწევრო გადასახადი, როგორც ეს დღეს გაადიდეს სხვა ქალაქებმა. (ირკვევა, რომ თვიური პარტიული გადასახადი ბაქოში შემოღებულია ერთი პროცენტი, ე. ი. საშუალოთ 5—6 მანეთი თვეში). 2) დანიშნულ იქნას მდივნათ მეხუთე რაიონში, კახეთის რკინის გზაზე, სადაც დღეს პარტიული მუშაობა სრულებით შეჩერებულია—ვარლამ კალანდაძე, რომელსაც დაევალოს აღადგინოს პარტიული „იაჩეიკები“ კახეთის რკინის გზის ხაზზე—გურჯაანამდე, მოახდინოს წევრების სრული რეგისტრაცია და აირჩიოს ახალი კოლექტივი, რომელიც ენერგიულათ უნდა ჩაებას მუშაობაში მეექვსე რაიონში, თანახმად თვით მდივნის განცხადებისა, (ის გადაყვანილ იქნა გვარდიის შტაბში) გაიგზავნოს ახალი მდივანი, ვინაიდან ამ რაიონში ცოტა წევრები ირიცხებიან და შემოსავალი ვერ დაჰფარავს გასავალს—კომიტეტი იღებს თავის თავზე მთელ ხარჯს იმ პირობით, რომ მთელი ამ რაიონის შემოსავალი უკლებლივ უნდა მოდიოდეს კომიტეტს.

ბუკიას საქმის გამოსაძიებლად კომიტეტმა აირჩია სამი პირისაგან შემდგარი კომისია, ამხანაგები: გ. ბახტაძე, ვ. ჯაველიძე და ვ. კალანდაძე; ამათ ევალებათ ერთი კვირის განმავლობაში მოახდინონ გამოძიება მოწმეების დაკითხვით და შემდეგ კომიტეტის სხდომაზე გააცნონ მას სრული საქმის ვითარება.

მეორე რაიონულ კოლექტივის განცხადების თანახმად კომიტეტი ირჩევს ამხ. სოლომონ დოლიძეს პარტ. სამედი... სასამართლოში. ზოგიერთ ტრამ... გაფიცვაში მონაწილეობის მიღების გამო. დასასრულ შემოდის განცხადებები მოშარაგების კომიტეტის ირგვლივ ცუდ ხმებზე და ზოგიერთ ჩვენ ამხანაგების გულწრფელ ნდობაზე იქ, სადაც ეს მეტად საპასუხისმგებლო საქმეა. მსჯელობის შემდეგ კომიტეტმა დაადგინა: „დაევალოს ყველა ჩვენს ამხანაგებს ადევნონ თვალყური ყველა კერძო და სათავადო პირების მიერ ბოროტ-მოქმედურ განზრახვებს და შეატყობინონ, სადაც ჯერ არს, რომ ამით საშუალება მიეცეს ჩვენს ამხანაგებს წაიყვანონ საქმე ისე, როგორც ამას მოითხოვს სახელმწიფოს ინტერესები.

კომიტეტის მდივანი.

**თფილისი.** 5 სექტემბერს შესდგა მეორე რაიონის კოლექტივის ს. დ. მ. პარტიის წევრთა კრება. კრებამ მოისმინა რა გასული კრებას, ოქმი, მიიღო ის მხედველობაში და გადავიდა მორიგ კითხვებზე. კომიტეტის წარმომადგენელი აცნობს კრებას, კომიტეტის მიერ საწევრო გადასახადის მანეთამდე გადიდების შესახებ დადგენილებას. იმ წევრებს, რომელთაც უკვე გადახდილი აქვთ წლის ფული, ვალდებული არიან გამოცხადდენ თავიანთ რაიონებში და გადაიხადონ პირველ სექტემბრიდან დამატებითი სამ—სამი აბაზი თვეში. ამასთან ერთად წარმომ. აცნობს კრებას კომიტეტის გადაწყვეტილებას, შესახებ კალ. გოგიბერიძის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებზე და აგრეთვე — იმასაც, რომ ის ამ ქამად გადაყენებულია პარტიიდან საქმის გამოძიებამდეო. კრება მოხსენებებს ღებულობს მხედველობაში. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, ადგილობრივ ორგანიზაციებში პარტიული მუშაობა კარგათ მიდის.

კრებამ დაადგინა დაუყონებლივ (სასწრაფო დეპეშით) გამოწვეულ იქნას კოლექტივის მდივანი და შეეკითხონ აპირებს ის თუ არა თავის ადგილზე დაბრუნებას? და თუ არა, მოწვეულ იქნას ამ თანამდებობაზე სხვა პირი.

კრება ადგენს: ვინაიდან კოლექტივის უკანასკნელ თვეების ანგარიში შედგენილია, არჩეულ იქნას სამი პირისაგან შემდგარი კომისია, რომელიც წინასწარ გადაათვალიერებს ანგარიშებს, და მომავალ კრებაზე წარმოადგენს თავის შეხედულებას. კომ. არჩეულ არიან: თოდრია, ლეჟავა და ხ—ლი. თფილისის კომ. განცხადება, ხვედრი პროც. კომ. გადაგზავნის შესახებ, კრებამ მიიღო მხედველობაში.

თედ. ხუხუნაიშვილი.

# პროვინცია

**გურია.** ყველაზე უფრო მძიმე საკითხი გურიაში გზების მოწესრიგებაა. უგზოობა აქ ჯერ დაუძლეველი სენია, რომელიც ხალხს გასაქანს არ აძლევს, და სანამ ეს ასე გრძელდება, ფუჭია ფიქრი რაიმე სიკეთეზე და კეთილ დღეობაზე. თითქმის ყველა სოფლები მთელი ზამთრის განმავლობაში გაუვალი ტალახებითაა ერთმანეთისგან მოწყვეტილი. ამ პირობების შეცვლა და გზების გაუმჯობესება გურიისათვის საარსებო საკითხია და მას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ერობამ გზები მთავარ საზრუნავ საგნათ უნდა გაიხადოს. ხალხს უმეტესად ამიტომ უხარია ერობას შემოღება. მაგრამ მარტო ადგილობრივი ძალა არ იკმარებს, უეჭველია საჭირო იქნება მთავრობის დახმარებაც. გზების გაუმჯობესება მეტათ საჩქარო საქმეა, რადგან უამისოდ სხვა ზომები ცხოვრებაში ვერ გატარდება, ან დიდათ დაბრკოლდება გურიის გაკულტუროსნება და პროგრესი ერთობ მიმოსვლის ნორმალურ პირობებზედაა დამოკიდებული. უპირველესად უნდა შეკეთდეს ნატანებ საჯევახოს შარა გზა და ზედ ავტომობილების მიმოსვლა მოეწყოს. აქ მეტად საჭიროა რკინის გზის გაყვანა, რაც გადაწყვეტილიც იყო წინეთ ოზურგეთამდე. მაგრამ ეს სახელმწიფოებრივი საკითხია და მომავალს ეკუთვნის. შემდეგ აუცილებელია გურიის შუაგული და სამხრეთი ნაწილი დაუკავშირდეს ჩრდილო ნაწილს და რკინის გზას და ამიტომ დაბა ნაგომარის მახლობლათ უნდა გაკეთებულ იქნას მდინარე სუფსაზე ხიდი. ამას მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება გურიის აღორძინებისათვის. გურული ხალხისათვის ძვირფას ქალაქს წარმოადგენს აგარაკი ბახმარო. თუ ამ აგარაკს არ იცნობს ფართო საზოგადოება ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იქ გზა ცუდი არის. გურულებმა კი იციან თავისი „სამოთხის“ მნიშვნელობა და მიუხედავად ყოვლად უვარგისი გზისა, მრავლად მიდიან ყოველწლივ. მოაგარაკეთა რიცხვი ხშირად 5 ათასზე სცილდება ხოლმე. ქვაბლანაბელლავის მიმართულებით შესაძლებელია საავტომობილო გზის გაკეთება. ეს გზა სხვაფრივაც მნიშვნელოვანი იქნება, რადგან იქვე არის საუცხოვო „მჟავე წყალი“, მშვენიერი ტყე და სხვა სიმდიდრენი. მთელი საქართველოს საუნჯე, რადგან მისი ბადალი მეორე არ მოიპოვება.

ფრიად საჭიროა აგრეთვე შარა გზა გავიდეს ხურეებში, რომ საშუალება დარჩეს ხალხმა ისარგებლოს სურების მთის უმდიდრესი ტყეებით. ამ მთავარი გზების გაკეთების შემდეგ ხალხი თავიანთ სოფლებში თვითონ შესძლებს გაიკეთონ გზები, თუ, ცხადია, ერობა ხელმძღვანელობას გაუწევს და იარაღებით და ტექნიკური ძალებით დაეხმარება.

ზ—რო.

**სად. ჯუმათი** (გურია). შიმშილობამ ფართე ხასიათი მიიღო, სიმინდი კარგი ხანია არ იშოვება, თუ ვინმეს ქონდა გასაყიდი, აქაურთ არ მიყიდა. ფარულად გაყიდა სხვა სოფლის ხალხთან (მცირედის გამოკლებით). მეზობელთან, ალბათ, შერცხვა ფუთის თორმეტ თუმნათ დაფასება. ამას წინათ მოვკრიბეთ ფული ვის რამდენი შეგვეძლო, რამოდენიმე კოპერატივს გამოვართვით. მოვაგროვეთ სულ 31 ათასი მანეთი და კაცი გავგზავნეთ, რომელსაც დავალებული ქონდა შუამდგომლობა აღეძრა გუბერნიის კომისართან, რომ ჩვენთვისაც ეხვედრებია სიმინდი. დღემდე სულ გვპირდენ: აბა დღეს მოვიტან სიმინდს, აბა ხვალო, რამაც ხალხს ხელი შეუშალა დროზე გაეძებნა სხვაგან გზა. ეხლა კი უკანასკნელათ ვარი მივიღეთ, რამაც ხალხში ცოტა უკმაყოფილება გამოიწვია. საჭიროა ფულის უკანვე დაბრუნება.

ებალაურის უფასო წიგნთ საცავ სამკითხველო- ამ ბოლო ხანებში რაღაც არა სასიამოვნო მდგომარეობაში ჩავარდნილა, ბოროტი ენები იმასაც კი ამბობდენ გამგეობა ყურადღებას არ აქცევს, ფულები გაიფლანგა, წიგნები დაიკარგა, გაზეთები არ მოდისო და სხვა. ამან ხალხში მითქმა-მოთქმა გამოიწვია. დაინიშნა საგამომძიებლო კომისია, რომელსაც დაევალა გამოიძიოს ეს საქმე და გააცნონ კრებას ყოველივე ავ-კარგი და სამკითხველო ჩააბარონ ახალ გამგეობას. ამას შემდეგ გავიდა მგონი სამი თვე და კომისია არაფერს არ ამბობს. სამკითხველო დაკეტილია, გაზეთები არ მოდის, ახალი გამგეობა ძველს აბრალებს, ძველი ახალს და საქმე გაუკეთებელი რჩება. საჭიროა საქმის დროზე გამოძიება. ამასთან საჭიროა ახალმა გამგეობამ ჩაიბაროს ყოველივე ანგარიში ძველი გამგეობისაგან, გააღონ კარი, გამოიწერონ გაზეთები და დაიწყონ მუშაობა.

მახლობელი.

**ს. ბარნაბიანთ-კარის** (მეტეხის საზოგადოება) მომხმარებელ საზოგადოების „სიმართლეს“ წლიური ანგარიში იყო ამ თვის ექვსში. გაიხსნა იგი შარშან მკათათვის პირველ რიცხვებში. კასაში აღმოჩნდა 2480 მან. 17 კაპ., საქონელი გასაყიდი ფასით 3518 მან. 26 კაპ., საპაიო თანხა ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირში 189 მან., იქვე ავანსი 733 მან. 29 კაპ., გორის სამეურნეო საზოგადოებაში შეტანილი 55 მან., ნოქარ კასირზე, ნ. შარ—შვილზე 167 მან. 15 კაპ., ინვენტარიც (ქონება) 380 მან. 70 კაპ.—სულ აქტივი 7523 მან. 57 კაპ. ამასთანავე იყო თანხა და ვალი: საპაიო თანხა 4441 მან. 50 კაპ., საწევრო გადასახადი 567 მან., სოფლის ვალი 425 მან., მოგება 1574 მან. 2 კაპ. დარჩენილი საქონლის მოგება 516 მან. 5 კაპ. სულ პასივი 7523 მან. 57 კაპ. დაუბრუნებელი ხარჯი გაწეულია 1690 მანეთამდე. როგორც პატარა სოფელში (სულ 189 წევრია ბარნაბიანიდგან და სასერეთიდან) დანერგულს მას დიდი ობოროტის გაკეთება და მოგების მოცემა არ შეეძლო, მაგრამ მაინც მოსალოდნელი სარგებლობა ვერ მოიტანა საქმის წარმოების მცოდნე პირების უყოლობის გამო, ზოგ მსახურის ბრუნდ მოქმედების გამო და ზოგიც რამდენიმე პირის შურისა და ჯიბრისა. საქმე იმაშია, რომ გამგეობის წევრები უჯამაგირონი არიან, ნოქარ - კასირი ერთია; სასყიდელი აქვს მას და მომტანს საქონლისა. ამიტომ ვინც აღმოჩნდება, უფრო ამ საქმეში ეცდევის ჩადგომას. პირველ ანგარიშამდე, ე. ი. 1—4 დეკემბრამდე 1917 წ. უკანტროლოდ განაგებდა ლ. ბარლი, რომელიც გამგეობის წევრიც იყო, მომტანიც და კასირ-ნოქარსაც თავის ნებაზე ავაჭრებდა და უანგარიშებდა; წიგნაკების შეძენა წევრებისთვის არა საჭიროდ მიაჩნდა. და მის საქმეში ჩარევაც გაგებულისა არ ეპაჰნიკებოდა. ოფიციალურად ჯამაგირს არ იღებდა, მაგრამ როდესაც ერთმა რევიზიის წევრმა წინადადება მისცა: მომტანი სხვა იყოს, მარტო ზოგი-ერთი ქალალდები აწარმოვე და თვეში 30 მან დასჯერდიო, უპასუხა: „აზირ შენ დაანებო შენ სამსახურს თავი და მაგ ფასში მოხვიდეო“. იმ დროს შედარებით საქონელი ძვირად ნაყიდი სჩანდა და ფასიც მეტი იდო. პირველ ხუთ თვეს მოლარე—ნოქარი ჯერ ერთი ქალი იყო, მერე მეორე 25—30 მანეთად თვეში. 1—4 დეკემბერს გამგეობის წევრები გამოიცვალნენ, რევიზიის წევრებიც იყვნენ არჩეულნი; მოლარე—ნოქარად ნ. ბარ—ლი, რომელსაც თვეში 50 მან. დაუნიშნეს, მაგრამ იგი ფაქტიურად თავის 13—14 წლის შვილს ავაჭრებდა, მომტანად აირჩიეს ა. ბარ—ლი და განუწესეს 6 პროც. ჯილდო მოტანილ საქონელზე, დღიურიც ის იყო და მისი გზის ხარჯიც. ერთმა რევიზის წევრმა ურჩია ან გაყიდულიდან მისცემოდა პროცენტი, ან გადაკვეთით ჯილდო, მაგრამ არ მოინდომეს. სოფლის მყვირალეებმა მიზეზი მოუძეს სამი—ოთხი თვის შემდეგ ბევრს იღებსო (5 ნახ. თვეს მისცეს 460 მან.), იმისთანები მოაქვს, არ იყიდებაო; სულ ორი—სამი საგანი აჩვენეს, რომლებიც ზოგი შემდეგ დასჭირდა და ზოგსაც სხვა კოოპერატივები ეხვეწებოდენ ჩვენ წავიღებთო. ყიდვაში სიყალბე ვერ შესწამეს: ნავაჭრი შედარებით პირიანათ იყო და უფრო კავშირიდან, საანგარიშო ბარათები სულ კანონიერი და ღერბის გადასახადით. მაინც მაისის ანგარიშის დროს ალ. ბარ—ლი დათხოვნილ იქმნა; სათავეში მოექცენ კოოპერატივს სოფლის მუშტები, ვითომდა მუქთად, მაგრამ მომტანის მოცდენის დღიურმა (7 მან.) და მგზავრობის ქირამ მეტი დაიჭირა, საქონელი ნაკლები აღმოჩნდა მოტანილი, არა სწორე (ზოგი ჯამი გამოუცხადებელი, ზოგი ხელმოუწერელი და ღერბის გადუხდელი) საანგარიშო ბარათებით, ზოგი სულ უბარათოც. 16 მაისი'ს ანგარიშში ნოქარ-მოლარეს დაედო 120 მან.; უშოვნელობის გამო სხვისა კიდევ ის დარჩა, მაშინ, რადგან გადიხადა და კიდევაც დაიკისრა სადგ. გრაკლიდან სოფლამდე კოოპერატივის საქონლის თავის ურმით მოტანა. ეხლანდელს ანგარიშში დაედო მას 167 მ. 15 კ. შემდეგ 100 მ. ჯამაგირში გამობრისა და ნახ. პროც.—57 მან. 7 კ. გამორიცხვისა, და ჩამოაყენეს კიდეც. თუმცა იგი ხსნიდა დაკლებას იმით, რომ ვითომ ხაზინადარმა გ. ბარ—ლმა (იგივე მომტანი იყო) 250 მან. შვილისაგან მიიღო და ხელი კი არ მოუწერა. ნოქრის უშოვნელობის გამო კოოპერატივი ორი კვირა დაკეტილი იყო.

მომავალში უნდა იმედი ვიქონიოთ კოოპერატივის საქმე გაუმჯობესდება, თუ გამგეობის წევრებად და საზოგადოთ მსახურებად მაღაზიაში სამართლიანი და დასინდისებულნი პირნი მოექცევიან. უნდა მოვაგონოთ წევრებს, რომ კანონიერი ხარჯი მსახურზე და ყიდვა მოტანაზე აუცილებელია.

სიმართლის მაძიებელი.

**სოფ. ქვაჭუდი** (ქუთ. მაზრა). ამ ორი წლის წინად აქ დაარსდა კოოპერატივი; რომლის საქმეები დღემდე კარგად მიმდინარეობს.

ამ სოფელს სამხრეთით ჩამოუდის მოზრდილი მდინარე ხევის წყალი, რომელიც ადიდების დროს აძლევდა ცოტა ზარალს მცხოვრებლებს. 23 აგვისტოს იმდენად ადიდდა ეს მდინარე დიდი წვიმების გამო, რომ მცხოვრებლებს დიდი ზარალი მიაყენა. ზოგს წაართვა ვენახები ხეები, ზოგს სახლები ოჯახეური მოწყობილებით, ზოგს შინაური პირუტყვები, მთელს სოფელს წაართვა ყანები, სხვათა შორის დიდი ზარალი მიაყენა კოოპერატივს, რომლის შენობა დასტოვა, მაგრამ სულ მაღლა ჭერამდის სილით გაავსო. ნოქრებმა ზოგიერთი საქონლის გამოტანა მოასწრეს დუქნიდან, ხოლო დიდი ნაწილი საქონლისა ზოგი წყალმა წაიღო და ზოგიც სილაში დაფლული ვიპოვნეთ. მთელი სოფლის მცხოვრებლები სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი და არ იციან რა საშუალებას მიმართონ, ან ოჯახის გამოსაკვებად და ან კოოპერატივის მოსაგვარებლად. ვსაჭიროებთ მთავრობისაგან დახმარებას, რომ მომავალში ავიცდინოთ თავიდან შიმშილი.

სოფლის მონდობილობით

ლეონტი შანიძე.

**ლიხაური** (გურია). დღეს მთელი გურია სჩივის და სტირის, მაგრამ ყველაზე უფრო აოხრდა ოსმალეთთან მესაზღვრე ლიხაურის საზოგადოება, სოფლები—აჭი, ქაქუთი, ჭანიეთი, რომლებიც თვე ნახევარს ოსმალთა ურდოების ხელში იყო. ძნელი წარმოსადგენია, თუ რა პირტახი დახვდებოდა ხიზნობიდან დაბრუნებულ ხალხს მის ნაკვდავზე.

როდის უნდა გაიმართოს ხალხი კვლავ წელში!

აქაურ პირველდაწყებითი უმაღლესი სასწავლებლის ყველაფერი ქონება გადაბუგულა, და თუ ის არ აღადგინა მთავრობამ თავის ხარჯზე, ბავშვები გარეთ დარჩებიან: სხვა დაბრკოლება რომ არ იყოს რა, ზოგიერთი სოფელი 8—10 ვერსით დაშორებულია ოზურგეთზე და ამ სიშორეზე ბავშვებს სიარული არ შეუძლიათ ადგილებიც რო იყოს იქ შკოლაში. ამას ზედ ერთვის ის, რომ მდ. ბჟუჟზე და აჭის წყალზე ხიდი არ მაგრდება და ოზურგეთსა და ლიხაურის საზოგადოებას შუა მიმოსვლა ხშირად და ხანგრძლივად სწყდება. სახალხო განათლების მინისტრმა განსაკუთრებულ დელეგაციას აღუთქვა დასახელებულ სასწავლებლის ამ წელსვე სახელმწიფო ხარჯზე მიღება. დაპირების აუსრულებლობა იმედს დაუკარგავდა ხალხს, ასრულება—გაამხნევებდა. დელეგაციამ კვლავ უნდა მოაგონოს მთავრობას დაპირება და აღნიშნულ აუცილებელ საჭიროების დაკმაყოფილება სთხოვოს.

-ალი.


ქ. ფოთის ნავთსადგურის გადამტვირთველ მუშების პროფესიონალური კავშირის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ძველი არტელები გაუქმდა და მათ ადგილზე მოქმედებს პროფესიონალური კავშირი, რომლის განკარგულებაში გადადის სამუშაოს მოწესრიგება. ძველი არტელების წევრებს აცხადებთ, რომ ისინი ვალდებულნი არიან, გარდა ჯარში გაწვეულთა და წითელგვარდიელთა, გამოცხადდენ სამუშაოზე ერთი თვის ვადაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ადგილი დაეკარგებათ.

(5—1) კავშირის გამგეობა.

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნ-ტისა

## მ. გოლდშტეინი

ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი ჰოსპიტლისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა

თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 12—2 საათამდე და 4—8 საათამდე. ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

## კლ. ქუთაისში

(მიხეილის ქუჩაზე, წითელ ხიდთან)

ქირურგიული და ქალთა სნეულების საავადმყოფო სამშობიარო განყოფილებით.

დასაწოლ ავადმყოფს იღებენ ყოველ დროს. (24—21)

ექიმი ვ. ვ. მუხაძე

იღებს სალოსტაქრო ავადმყ ფით სადღამი' 5—8 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; ქუთაისის ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. ავანიშვილისა. ტელ. № 5—77

ექიმი დ. ი. ჟაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 16 – 65.

## ექიმი დ. ჯავახიშვილი

მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, დილის 9—11 და საღამ. 5—7 ს. ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფონი № 14—09.

ექიმი ა. ნ. [illegible]

იღებს ქალების და ქირურგიულ სნეულებით ავადმყოფთ დილის [illegible] საღამოს 5—7 საათ. მისამართი: ოლღას ქუჩა, 41. ტელ.№ 9-53. (24—15)

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი

(მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან საბავშვო, სისხლის და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

გაიხსნა თვალის საავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

## ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

სამკურნალო კაბინეთი

ექიმ ალექსანდრე დავითის ძის

## კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914—606 ის შეზხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

ექიმი ი. გ. კონიევი.

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარდისუბნის ქ. № 3. (24—21)

ექიმი ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) დამისი შედეგებით დასნეულებულთ, **სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.** ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლათ.

ექ. ქალი რ. ბ. შიშლო-ხაბაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალთა და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ტელ. 14—74

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მართებლობის 16 მკათათვის დადგენილებისამებრ არსდება საქართველოს რესპუბლიკის **წითელი ჯვრის საზოგადოება,** რომლის

## დამფუძნებელი კრება

მოხდება კვირას, 8 სექტემბერს, დილის 11 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ექ. მ. ზანდუკელის მოხსენება.
2. საზოგადოების წესდების პროექტის განხილვა და დამტკიცება.
3. საზოგადოების მთავარი გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა.

კრებაზე დასწრება შეუძლია საქართველოს რესპუბლიკის ყველა ქვეშევრდომს, ხოლო ხმის უფლება მიეცემა, ვინც შეიტანს საზოგადოების მოლარესთან წლიურ გადასახადს, რომლის მიღებაც დავალებული აქვს ამავე კრებაზე ა. ხუციშვილს. (2—1)

**10 სექტემბერს, დილის 10 საათზე**

ამიერ-კავკას-ის კოოპერატივთა კავშირის შენობაში (მიხეილის ქუჩა, 178)

შ ე ს დ გ ე ბ ა

## ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა რწმუნებულების ყრილობა

დღის წესრიგი: 1) გამგეობის მოხსენება საერთო მოქმედების შესახებ წარსულ წელში;
2) კავშირის სამოქმედო გეგმა 1918 წ;
3) განხილვა და დამტკიცება 1917 წლის ანგარიშისა;
4) განხილვა და დამტკიცება 1918 წ. ხარჯთ აღრიცხვისა;
5) კავშირის რეორგანიზაცია;
6) კოლექტიური ხელშეკრულობის განხილვა;
7) დამატებითი არჩევნები გამგეობის წევრებისა;
8) დამატებითი არჩევნები სარევიზიო კომისიის წევრებისა;
9) დამატებითი არჩევნები მეთვალყურე საბჭოს წევრებისა;

თითოეულ მოკავშირე კოოპერატივს უფლება აქვს გამოგზავნოს ორი წარმომადგენელი და კიდევ ერთი თუ საერთო წლიური ჯამი მისი კავშირის საშუალებით ნავაჭრისა აღემატება 25,000 მან. ორი წარმომადგენელი, თუ ასეთი აღემატება 50,000 მან. საერთოდ რწმუნებულთა რიცხვი ერთი საზოგადოებისა 4-ს არ უნდა აღემატებოდეს (წესდ. მუხ 29).

კრება, თანახმად წესდების მე 33 მუხლისა, კანონიერად ჩაითვლება, მიუხედავად რწმუნებულთა დამსწრე რიცხვისა.

(3—1) ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირის გამგეობა.

**სოც.-დემ. პარტიის საოლქო კომიტეტთან მოეწყო გაფართოებული სეკრეტარიატი, რომელიც აძლევს პროვინციის ორგანიზაციებს პასუხს ყოველგვარ შეკითხვებზე. სეკრეტარიატი მოთავსებულია „ერთობის“ რედაქციის გვერდით, გოლოვინის პრ. № 12. აქვე ხდება პროპაგანდისტების ჩაწერა პარტიულ საქმეებზე სამუშაოთ. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. ტელეფონი № 16—62.**